# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 5 სექტემბერი, 2012 წელი.

№169 (7045)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## „არეულობა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს!“

③

## კახა მიქაია: ასეთი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, როგორიც აღმოვაჩინეთ სქურში, არსებობენ სვანეთში, ლებარდეში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში

④





⑥

## „ცუგცვანგი“ ქართულ პოლიტიკაში,

### ანუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ოქტომბრის არჩევნების შემდეგ

## არა მხოლოდ მიშისტები უმღვრევენ ხალხს ტვინს

⑦

## მილიონი დაზღვეული ადამიანი – წინასაარჩევნოდ

## ეთერ მგალობლიშვილი: მოვუწოდებთ, იარონ და იმოქმედონ მხოლოდ საკუთარი სახელითა და ავტორიტეტით

④

## უბინაო მოსამართლეების დოლი იწყება

⑤



## ლევან მინდიაშვილი: ძიების პროცესი დაუსრულებელია

⑨



# საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ განცხადება

4 სექტემბერი, 2012 თბილისი

მივესალმებით ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლისა და ვიცე-პრეზიდენტის ქალბატონ ქეთრინ ეშტონისა და ევროკომისრის ბატონ შტეფან ფულეს 3 სექტემბრის განცხადებას საქართველოს შესახებ, რომლითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ევროკავშირის უმაღლესი თანამდებობის პირები დაინტერესებული არიან საპარლამენტო არჩევნების წინ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით.

სათანადოდ ვაფასებთ ევროკავშირის მყარ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესისადმი, რომელიც კიდევ უფრო დაჩქარდება დემოკრატიის ევროპული სტანდარტების ერთგული პოლიტიკური ძალების არჩევნებში გამარჯვების შემდეგ.

ვიზიარებთ განცხადებაში ხაზგასმულ შეფასებას იმის შესახებ, რომ საქართველოში გადაუჭრელ პრობლემებად რჩება დემოკრატიის კონსოლიდაცია, მიღწეული ეკონომიკური შედეგების ხალხზე გადანაწილება და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის სრულფასოვანი მონაწილეობა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მომავალი ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იქნება სწორედ დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება, სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა.

ვეთანხმებით, რომ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკამ უნდა გააჩინოს რწმენა საარჩევნო პროცესის სამართლიანობისადმი. როგორც ეს აღნიშნულია ეუთოს, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების ბოლო ანგარიშებში, სწორედ კანონმდებლობის შერჩევითი გამოყენება, სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკური მიკერძოებულობა და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ არასამართლიანი დამოკიდებულება იქცა საარჩევნო პროცესის მთავარ პრობლემებად.

ვიზიარებთ განცხადებაში გამოთქმულ შეშფოთებას იმის გამო, რომ არჩევნების მოახლოების კვალობაზე იზრდება პოლარიზაცია და დაპირისპირება. სამწუხაროდ, კოალიცია „ქართული ოცნების“ და მისი ლიდერის მზარდ პოპულარობას სააკაშვილის გუნდმა დაძაბულობისა და რეპრესიების ესკალაციის გარდა სხვა ვერაფერი დაუპირისპირა, რამაც მართლაც სახიფათო ზღვრამდე მიიყვანა დაპირისპირება მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის.

გაგებით ვეკიდებით მოწოდებას იმის თაობაზე, რომ შექმნილ ვითარებაში ჩვენ, ოპოზიციას, არანაკლები პასუხისმგებლობა გვეკისრება ქვეყნის მომავლისათვის. მეტიც, ვთვლით, რომ ნებისმიერი მეთოდებით ხელისუფლების შენარჩუნების მცდელობით დაკავებულმა მმართველმა გუნდმა პრაქტიკულად მოიხსნა პასუხისმგებლობა ქვეყანაზე და ასეთ პირობებში ჩვენ ვალდებული ვართ, ხელისუფლების დარი პასუხისმგებლობით ვიმოქმედოთ.

სწორედ ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ არ დავუშვებთ ძალადობის ესკალაციას და პოლიტიკური პროცესების კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასვლას, მათ შორის, ვინმეს მიერ ხელისუფლების მიტაცებას. მზად ვართ იმისთვისაც, რომ მივიღოთ და გავიზიაროთ კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული აღმშენებლობის, სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

დარწმუნებული ვართ, ევროკავშირი, ისევე, როგორც მთელი დემოკრატიული სამყარო, გააგრძელებს სათანადო ზომების მიღებას იმისათვის, რომ ქართველ ხალხს მიეცეს სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების გზით საკუთარი მომავლის განსაზღვრის შესაძლებლობა.

◎ ერთობლივი განცხადება



## კახა გოგოლაშვილი: საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხი საპარლამენტო არჩევნების შედეგებით განისაზღვრება

**შტეფან ფულესა და ქეთრინ ეშტონის ერთობლივი განცხადება დროული იყო, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს„ ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა კახა გოგოლაშვილმა განუცხადა.**

მისივე თქმით, განცხადებაში სწორი შენიშვნებია, რადგან საზოგადოებაში დაპირისპირება ძალიან გაიზარდა და ხელისუფლების თუ ოპოზიციის ნებისმიერი ნაბიჯი ძალიან მწვავედ აღიქმება.

**„მეორეს მხრივ, ხელისუფლება ცდილობს ოპოზიციური პარტიების მაქსიმალურ დისკრედიტაციას და ამ ფონზე საზოგადოება ხდება დაპირისპირებული. მზადება პოსტსაარჩევნო დღეებისადმი და მოვლენების წინასწარი ანონსი არასწორია. შეიძლება ამით პოლიტიკოსები თამაშობდნენ, მაგრამ საზოგადოებაში დუღილი მატულობს. შემდეგ რომ პოლიტიკოსებმა ვითარების გამწვავება აღარ მოითხოვონ, ამას მათი მხარდამჭერები მოითხოვენ და პროცესები უმართავი გახდება. ერთობლივი განცხადებით ქართულ პოლიტიკურ სპექტრს შეახსენეს, რომ საზოგადოებრივი განწყობებით თამაში არ შეიძლება“,** — განაცხადა კახა გოგოლაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხი საპარლამენტო არჩევნების შედეგებით განისაზღვრება.

**„აქ იგულისხმება არა რომელიმე პარტიის პროცენტული მაჩვენებელი, არამედ შედეგები, რომელიც ქვეყნის სტაბილურობასთან არის დაკავშირებული, ანუ იმაზე, რამდენად იქნება თანხმობა ქვეყანაში გამეფებული. თუ ქვეყანაში დაპირისპირება დაიწყება და მხარეები შედეგებზე ვერ შეთანხმდნენ, დემოკრატიის ზრდაზე საუბარი ზედმეტი იქნება, რადგან ქაოსის ვითარებაში დემოკრატია უბრალოდ არ ხორციელდება“,** — აღნიშნა კახა გოგოლაშვილმა.

ევროკავშირს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით დიდი მოლოდინი აქვს, — ამის შესახებ ნათქვამია ევროკომისარ შტეფან ფულესა და კომისიის ვიცე-პრეზიდენტ ქეთრინ ეშტონის ერთობლივ განცხადებაში. განცხადება ევროკომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

განცხადების თანახმად, ეს არჩევნები იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი საქართველოს გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარების კუთხით და ევროკავშირი-საქართველოს მომავალი ურთიერთობების ხარისხსა და ინტენსივობას განსაზღვრავს.

**„ჩვენ მივმართავთ თხოვნით როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას, უზრუნველყონ მშვიდობიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემო და ჯანსაღი მედიაგარემო. ჩვენ შეშფოთებული ვართ ამ კონტექსტში მზარდი პოლარიზაციითა და დაძაბულობით — არჩევანი პოლიტიკურ პროგრამებსა და იდეებს შორის უნდა გაკეთდეს. ჩვენს ხაზს ვუსვამთ პასუხისმგებლობას, რომელიც ხელისუფლებასა და ოპოზიციას აკისრია, რათა უზრუნველყონ არჩევნების სათანადოდ ჩატარება და შესაბამისად, ლეგიტიმურობა. აუცილებელია, დაცული იქნას საარჩევნო კანონმდებლობა და ისე იყოს გამოყენებული, რომ ხელი შეუწყოს ნდობას საარჩევნო პროცესის სამართლიანობისა და კანონის უზენაესობისადმი. ყველა პარტიამ და კანდიდატმა უნდა უზრუნველყოს მშვიდობიანი და პასუხისმგებლიანი გარემო არჩევნებისთვის, თავი შეიკავოს გამომწვევი ქმედებებისა და განცხადებებისგან, რომლებიც ისედაც დაძაბულ გარემოს გააუარესებს და არჩევნების შედეგებს ეჭვქვეშ დააყენებს. დემოკრატიის შექმნა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე აქტორების პასუხისმგებლობას ეფუძნება“,** - აღნიშნულია განცხადებაში.

◎ ინფორმაცია

### ბიძინა ივანიშვილი: დევნილების აფხაზეთში დაბრუნებას არანაკლებ 4 და არაუმეტეს 6 მლრდ დოლარი დასჭირდება

**„ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა იანიშვილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთში დევნილების დაბრუნებას არანაკლებ 4 და არაუმეტეს 6 მილიარდი დოლარი დასჭირდება, — აღნიშნულის შესახებ ივანიშვილმა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების„ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შესაბამის დოკუმენტს გამოსცემენ, რათა დევნილებს სახელმწიფო შენობები დაუკანონდეს.**

**„თქვენ, რომ დაუბრუნდეთ თქვენ საცხოვრებლებს ამისთვის საჭირო იქნება არანაკლებ 4 და არაუმეტეს 6 მილიარდი დოლარი. ამის შესაძლებლობა არსებობს, როგორც ჩვენი პირადი ფინანსებით, ისე გარედან დახმარების გზით. ძალიან ბევრი სახლი იქნება ასაშენებელი და რეალურად უნდა აშენდეს არანაკლებ 100 000 სახლისა. მარტო განცხადებები არ უშველის, რომ დავბრუნდეთ, არც პოლიტიკური განცხადებები არ უშველის, პოლიტიკური ნებაც არ უშველის. სახლებიც უნდა აშენდეს ბევრი, ხეხილიც უნდა დაირგოს ეზოში, და ყველანაირი პირობები უნდა შეიქმნას, რათა იქ თბილი კერა გაჩნდეს და მოგეცეთ არჩევანი თქვენ და მათაც ვინც იქ დარჩნენ, რა არის უკეთესი“, — განაცხადა „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრისას.**

### მთავრობა შპს „თელავი-ღვინოში“ საკუთარ წილს ყიდის

**კომპანიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 49% - იანი წილის საწყისი ღირებულება 120 ათასი ლარია და მისი გასხვისება ხვალ, 5 სექტემბრისთვის ჩანიშნულ აუქციონზე იგეგმება.**

**შპს „თელავი - ღვინის„ კაპიტალი (22.06.2012 წლის მდგომარეობით) 220 000 ლარს შეადგენს, სახელმწიფო წილი კაპიტალში კი არის 107 ათას 800 ლარი, კომპანიის დებიტორული დავალიანება (21.06.2012 წლის მდგომარეობით) - 54 100 ლარს შეადგენს, ხოლო კრედიტორული დავალიანება (21.06.2012 წლის მდგომარეობით) - 93 828 ლარს.**

◎ ცარიელი საფლავები

## ბაჰაუდინ ბაღაკაშვილი დუისის სასაფლაოზე დაკრძალეს

**ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული ბაჰაუდინ ბაღაკაშვილი სოფელ დუისის სასაფლაოზე მიასვენეს.**

ოფიციალური ინფორმაციით, ბაჰაუდინ ბაღაკაშვილი გროზნოშია დაბადებული და პანკისში ნათესავები ჰყავდა. არაოფიციალური ინფორმაციით, ბაღაკაშვილის ახლობლები უცხოეთიდან ჩამოვიდნენ და ამის შემდეგ გადასცეს მათ ცხედარი.

ამასთან, დუისში მყოფი პირები ჟურნალისტებს სასაფლაოზე არ უშვებენ. მათ ასევე შეამოწმეს, ჩართული აქვთ თუ არა ოპერატორებს კამერები.

დუისის სასაფლაოზე რამდენიმე დღის წინათ დაკრძალეს სპეცოპერაციისას ლიკვიდირებულები ასლან მარგოშვილი და ბაჰაუდინ ქავთარაშვილი(ალდამოვი).

საქართველოს შს სამინისტროს გუშინდელი ინფორმაციით, ლოპოტას ხეობაში 11 ლიკვიდირებული პირიდან იდენტიფიცირებულია 7 ცხედარი, რომელთაგან 2 საქართველოს მოქალაქეა — 1990 წელს დაბადებული ასლან მარგოშვილი და 1986 წელს დაბადებული ბაჰაუდინ ქავთარაშვილი.

დანარჩენი 5 პირი კი არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ჩრდილოეთ კავკასიიდან. მათგან ერთ-ერთი - ბაჰაუდინ ბაღაკაშვილი დაბადებულია გროზნოში 1986 წლის 10 თებერვალს და მას ნათესავები ჰყავს პანკისის ხეობაში.

დანარჩენი იდენტიფიცირებულები არიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები — 1968 წელს, ჩეჩნეთში დაბადებული დუკვახა დოშუევი; ასევე ჩეჩნეთში, 1991 წელს დაბადებული სალამ ზაურბეკოვი, ინგუშეთში 1989 წელს დაბადებული ხაშიევ ჯაბრაილი და გროზნოში 1981 წელს დაბადებული მუსა ადუევი.



ამასთან, გუშინ ცნობილი გახდა, რომ დუკვახა დოშუევი ახმედ ზაკაევის დაცვის წევრია.

ინტერპრესნიუსი

# „არეულობა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს!“

**„ქართული ოცნება“ არა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში მონაწილეობისთვის, არამედ არჩევნების შემდგომი არეულობის გამოწვევისთვის ემზადება,** — ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ სპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა.

**რატომ უნდა ემზადებოდეს არეულობისთვის „ქართული ოცნება“, როდესაც ხელისუფლების ზეწოლის მიუხედავად, სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ხელისუფლების მიერ დაკვეთილ საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევებში ახლადშექმნილი საარჩევნო ბლოკის რეიტინგი მუდმივად იზრდება, ხოლო როგორც თავად „ქართული ოცნების“ წევრები აცხადებენ, მათთვის სანდო სოციოლოგიური კვლევების შედეგები სავსებით მისაღებია.**

„ქართული ოცნება“ ხელისუფლების მოთხოვნის შესრულებას, ანუ არჩევნების აღიარების მემორანდუმზე ხელის მოწერას არ აპირებს იქამდე, ვიდრე ხელისუფლება ოპოზიციის მიმართ ზეწოლას არ შეაჩერებს.

**როგორც ხელისუფლება ამბობს, იმას, რომ „ოცნება“ არეულობისთვის ემზადება, კოალიციის ლიდერის მიერ წამოყენებული უსაფუძვლო მოთხოვნები აფიქრებინებს.**

ცესკოს ყოფილი თავმჯდომარის ნანა დევდარიანის შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობა“ მოითხოვს იმაზე თანხმობას, რაზეც თვითონ არასოდეს არ დათანხმდებოდა.

**„გაიხსენეთ 2003 წელი, მაშინ მე ვიყავი ცესკოს თავმჯდომარე, რატომ არ დაეთანხმნენ ჩატარებული არჩევნების შედეგებს? ოღონდ ის სისულელე არ გაიმეორონ, გაყალბდაო. როგორ გაყალბდებოდა, როდესაც მმართველმა ძალამ 22%-იც კი ვერ მოაგროვა — 21.28% აიღო მაშინ შევარდნაძის ბლოკმა. წინასწარ ამ პირობის დადება ნიშნავს იმას, რომ რასაც მინდა, იმას გავაკეთებ, რა ციფრებსაც მინდა, იმას ჩავწერ და შენ ხმა არ ამოიღო, არ გააპროტესტოო, ხომ ასე გამოდის.**

**ნებისმიერი საარჩევნო სუბიექტის კანონით მინიჭებული უფლებაა, აღიაროს თუ არ აღიაროს და, ცნოს თუ არა არჩევნები სამართლიანად. ამაზე ვინ მოუწერს ხელს?!**

**მე უფრო სხვა რამ მაწუხებს, ასეთი ხისტი განცხადებები და ასეთი მიმწოლი პოზიცია „ქართულ ოცნებას“ გაცილებით ადრე უნდა გამოეხატა.**

**რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ვაშაძემ იმ დრაკონულ ბრძანებას მოაწერა ხელი, რომლითაც საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს თანამემამულეებს პრაქტიკულად წაართვა ხმის უფლება — კონსტიტუციის დარღვევით ხმის უფლება ჩამოართვა. ამდენი ხანი რეაქცია „ქართული ოცნებისგან“ არ ყოფილა, მხოლოდ ახლაა.**

**პირიქით, პრეტენზია თუ მაქვს, მაქვს იმაზე, რომ ამ ყველაფერზე გაცილებით ადრე უნდა ყოფილიყო მკაცრი შეფასებები და განცხადებები“,** — აცხადებს ნანა დევდარიანი.

ბიძინა ივანიშვილის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების თანახმად, „მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10 თვის განმავლობაში ჩვენს წინააღმდეგ გატარებული რეპრესიების შედეგების მთლიანად აღმოფხვრა წარმოუდგენელია, ჩვენ მაინც მზად ვართ, დღესვე მოვაწეროთ ხელი არჩევნების შედეგების აღიარების ვალდებულებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ დღეიდან არჩევნებამდე საარჩევნო გარემო პრინციპულად შეიცვლება და დაკმაყოფილდება შემდეგი მოთხოვნები:

**1. დაუყოვნებლივ შეჩერდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიცირებით გამოტანილი ყველა ჯარიმის, ყადაღისა თუ სანქციის აღსრულება, ისე, როგორც ეს მოხდა პარტიებისთვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილში უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციით;**

**2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ შემოსავლებიდან და ხარჯებიდან ამოირიცხოს ის თანხები, რომელთა კავშირი კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებთან არაფრით არ არის დადასტურებული, გარდა კონტროლის პალატის ვარაუდებისა და მხოლოდ ვარაუდების საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებისა;**

**3. შეიქმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა (ამომრჩევლის 25%) მოახერხონ არჩევნებში მონაწილეობა, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს ხმის მიცემის დღის შეცვლა;**

**4. დაუყოვნებლივ მოიხსნას ყველა დაბრკოლება კერძო კომპანიების მიერ მოსახლეობაში სატელიტური თეფშების გასავრცელებლად და სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ამომრჩევლის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით დაგეგმილ სხვა პროექტებს, მაგალითად, ქართველი ემიგრანტების ინიციატივას;**

**5. უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში შევიდეს კოალიციის წარმომადგენელი, კომისიამ იმუშაოს ყოველდღიურ, გამჭვირვალე რეჟიმში და, სხვა საკითხებთან ერთად, დაუყოვნებლივ განიხილოს პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეების დევნის (დაპატიმრება, სამსახურიდან გათავისუფლება, შანტაჟი) დღემდე მომხდარი ყველა ფაქტი;**

**6. სამოქალაქო სექტორის მიერ შემოთავაზებული და კოალიციის მიერ გაზიარებული ქცევის კოდექსის დაცვის მონიტორინგისთვის შეიქმნას ქმედითი მექანიზმი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით“.**

როგორც ზაზა ფირალიშვილი ამბობს, ძალიან ძნელია ამ განცხადებაზე კომენტარის გაკეთება, რადგან დაძაბულობა ქვეყანაში ზღვრამდე მიჰყავს იმას, ვინც ქმნის არაადამიანურ საარჩევნო გარემოს.

**„ლაპარაკი იმაზე, რომ თითქოს ოპოზიციას უნდა დაძაბულობა იმისათვის, რომ შემდეგ არეულობით მოიპოვოს ხელისუფლება, მაპატიეთ და, მაშინ შექმენი შენ ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც არ მისცემს ვინმეს სიტუაციის ესკალაციის საშუალებას.**

**მეტსაც ვიტყოდი, რომ გამომდინარე იმ ყველაფრიდან, რასაც ჩვენ ვუცქერთ, ხელისუფლება ზღვრულ დაძაბულობაში ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას, მაგრამ საქმე ის არის, რომ მისი მდგომარეობა ახლა არაშესაშურია, თუ გავიხსენებთ, ლაფანყურის ისტორიას, რომელიც ამ დღეებში გათამაშდა, ნდობის როგორი დაბალი ხარისხი არსებობდა ხელისუფლების მიმართ, იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც გავრცელდა სახელისუფლებო წყაროებიდან, ესეც მეტყველებს იმაზე, რომ დროა, დღევანდელმა ხელისუფლებამ დათმოს ძალაუფლება თუნდაც რამდენიმე წლით და შემდეგ შეეცადოს კვლავ უკან მობრუნებას. ჩვეულებრივ დემოკრატიულ პროცესში ჩართოს საკუთარი თავიც და ქვეყანაც.**

**იმდენად დაბალია ხელისუფლების ნდობის ხარისხი, რომ ლაპარაკი იმაზე, ვიღაც არეულობით ცდილობს ძალაუფლების მოპოვებას და ა.შ. მხოლოდ იმისი ნიშანია, რომ ხელისუფლება მზად არის გამოიყენოს არასამართლებრივი გზები თავისი მდგომარეობის შესანარჩუნებლად“,** — აცხადებს ზაზა ფირალიშვილი.

ნანა დევდარიანი მიიჩნევს, რომ ნათლად და გასაგებად თქვა „ქართულმა ოცნებამ“, რა მიზანიც აქვს.

**„იმისთვის კი არ ვემზადებით, რომ არჩევნები გაყალბდეს და მერე გამოვიდეთ ქუჩაში, არამედ ვემზადებით არჩევნების მოსაგებადო — ამდენად, მათ ნათლად დაადასტურეს პოზიცია. მაგრამ თუ ის დაინახავს, რომ არაადეკვატურია არჩევნების შედეგები, ვერაკაცი დედამიწის ზურგზე, ვერავის ვერ აუკრძალავს, გამოვიდეს ქუჩაში და სულ რომ მთელმა „ქართულმა ოცნებამ“ ხელი მოაწეროს ასეთ მემორანდუმს, ვერავის ხელმოწერა ვერ განაპირობებს, რომ შედეგები აღიარონ — ადამიანები მაინც შეიძლება გამოვიდნენ ქუჩაში“,** — აცხადებს ნანა დევდარიანი.

„ნაციონალური მოძრაობის“ სპიკერის განმარტებით, ივანიშვილის მოთხოვნების შესრულება გულისხმობს, სახელმწიფო უწყებებისგან მთელი რიგი კანონების მოქმედების შეჩერებას.

როგორც ნანა დევდარიანი ამბობს, ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებაში, ერთი, რაც რაციონალურია, არის ის, რომ ეს გამოიწვევს კანონების მოქმედების შეჩერებას.

**„მამაცხონებულებს, საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავთ პარლამენტში, შეიკრიბნენ და შეცვალონ ეს დრაკონული კანონი. მათ ხელშია და თუ უნდათ, ძალიან კარგად ახერხებენ ერთ დაძახილზე ნებისმიერი შესწორების შეტანას“,** — აცხადებს ნანა დევდარიანი.

თუმცა, როგორც მოსალოდნელია, მმართველი პარტია სულაც არ აპირებს რაიმე საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას და საარჩევნო გარემოს შედარებით ნორმალურ კალაპოტში გადაყვანას. ბიძინა ივანიშვილის მიერ დოკუმენტის გამოქვეყნებისთანავე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა „ქართული ოცნების“ წევრების, თინათინ ხიდაშელისა და ნოდარ ხადურის ქმედებები კვლავ სამართალდარღვევებად ცნო.

ზაზა ფირალიშვილის შეფასებით, ხელისუფლების ჩვეულებრივი სტილია ასეთი ერთგვაროვნება.

**„სააკაშვილი ნიჭიერ ადამიანად მიმაჩნდა, მაგრამ ახლა ვრწმუნდები, რომ მის ნიჭიერებას ზღვარი ჰქონია. იმდენად ერთგვაროვნად იქცევა და იმდენად უჭირს საკუთარი ქცევის ერთფეროვნების შეცვლა. მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მკვეთრი განცხადებებისა, მიუხედავად საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩის უილიამ კორტნის ასეთი მძაფრი განცხადებისა, ჯიუტად განაგრძობს ერთი და იგივე მელოდიის რაღაც ფრაგმენტის შესრულებას. ამას, რა თქმა უნდა, კარგი არაფერი არ შეიძლება მოჰყვეს ქვეყანაში. უკეთეს შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობა“ წააგებს არჩევნებს, თუმცა კი ყველანი ვგრძნობთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ საქმე მიჰყავს არასასურველ დაძაბულობამდე“,** — მიიჩნევს ზაზა ფირალიშვილი.

რატომ გახადა ხელისუფლებამ ეს მემორანდუმი საჯილოდაო ქვად ან რატომ გახდა მაინც და მაინც 2012 წლის არჩევნების შედეგების აღიარების ვალდებულებაზე ხელის მოწერა აუცილებელი, როდესაც სხვა არჩევნების დროს მსგავსი უპირობო აღიარების წინასწარ ჩამორთმევა ოპოზიციისთვის აზრად არავის მოსვლია, ძნელი სათქმელია და ეჭვებს ბადებს, რომ თავად ხელისუფლება ხომ არ გეგმავს არეულობას.

**„წინასწარ სთხოვენ, ხელი მომიწერე, რომ არ გააპროტესტებ და ქუჩაში არ გამოხვალო, ეს უკვე მარაზმს ემსგავსება. რანაირად შეიძლება დაგიდო მე შენ ასეთი პირობა, როდესაც ჯერ არ ვიცი, რას ჩაიდენ არჩევნების დღეს.**

**პირველ რიგში „ნაციონალური მოძრაობა“ ეცდება, ალალად და უსაყვედუროდ დარჩეს ხელისუფლებაში, ყოველგვარი არეულობგის გარეშე, მაგრამ თუ შეატყვეს, რომ ამას საფრთხე ექმნება, მაშინ არეულობაზე თვითონვე წავლენ“,** — აცხადებს ნანა დევდარიანი.

ზაზა ფირალიშვილის შეფასებით კი, არეულობა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს.

**„არეულობის შემთხვევაში უკვე შეუძლია, ძალოვანი მექანიზმების გამოყენება ოპოზიციის წინააღმდეგ. მას ყოველთვის შეუძლია, ბიძინა ივანიშვილი გამოაცხადოს არასასურველ პირად, რომელიც უცხოეთის მოქალაქეა და რომელიც საზოგადოებრივი არეულობის წყაროა.**

**ასეთი განცხადების გაკეთება შეუძლია მას და, როგორც ჩანს, სხვა სცენარებს შორის ამ სცენარსაც ამუშავებენ, ანუ, თუ არჩევნებს წააგებენ და წააგებენ აშკარად, ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი დაძაბულობა და არეულობა მათ ხელს აძლევს იმდენად, რამდენადაც შეუძლიათ განაცხადონ, რომ ივანიშვილი არის ის ფიგურა, რომელიც საზოგადოებრივ არეულობას უწყობს ხელს და გაასახლონ ქვეყნიდან. შესაძლოა, ასეთი სცენარიც ჰქონდეთ გუნებაში, მაგრამ იმდენად ძლიერია უნდობლობის ხარისხი მათ მიმართ, რომ ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ უმტკივნეულოდ ჩაატარონ ეს ოპერაცია“,** — აცხადებს ზაზა ფირალიშვილი.



მარიამ თოდაძე,
For.ge

**ინფორმაცია**

## „ოცნების“ ოფისს ძარცვავდნენ

**ქობულეთში კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისის გაქურდვის მცდელობა დაფიქსირდა. როგორც კოალიციის ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ფატი ხალვაშმა განაცხადა, ჩამსხვრეულია ოფისის ვიტრაჟი, ჩამოხსნილია ბიძინა ივანიშვილის პლაკატები.**

**— დილით, 5 საათისთვის ოფისის მეპატრონემ, რომელიც იქვე ცხოვრობს, შეამჩნია ვიტრაჟის ჩამსხვრევის ფაქტი და გამოიძახა საპატრულო პოლიცია. ფაქტზე დააკავეს რაულ ხინიკაძე, რომელიც მოსახლეობასთან ჩვენი შეხვედრების დროს, პროვოკაციის სახით, დისონანსის შეტანას ცდილობდა. დაზიანებულია ვიტრაჟი და განათება, კარის სახელურები მომტვრეულია, — აღნიშნა ფატი ხალვაშმა. მისივე თქმით, ოფისის ინვენტარი დაკარგული არ არის.**

ინტერპრესი



◉ პოზიცია

# მოვუწოდებთ, იარონ და იმოქმედონ მხოლოდ საკუთარი სახელითა და ავტორიტეტით

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ნაწილის, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, სამართლიანი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (№34ძ დაბეჭდილმა ინტერვიუმ სანდრო ბრეგაძესთან და იმავე გვერდზე მოთავსებულმა ფაბრიკაციამ, სადაც ბატონ ზვიად გამსახურდიას გვერდით, სულიერი ძმის მერაბ კოსტავას ნაცვლად, როგორც ეს აღბეჭდილია ორიგინალურ ფოტოზე, გამოსახულია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი. მართალია, ა.წ. ივნისში, გაზეთ „ვერსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სანდრო ბრეგაძე ქედმაღლურად და თავდაჯერებულად აცხადებს, რომ ეროვნული მოძრაობის ერთადერთი სამართალმემკვიდრეა მოძრაობა „ეროვნულები“ (თუმცა, არ აკონკრეტებს ვინ უბოძა ეს „სამართალმემკვიდრეობა“ძ, ამავდროულად კატეგორიულად ემიჯნება იმ ადამიანებს, რომლებიც დღემდე საფუძვლიანად ითხოვენ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას, უფრო მეტიც, სულაც „არ აინტერესებს ის ხალხი, ვისაც უტოპიური იდეაფიქსები აქვს და მარგინალიზმისკენ მის მისწრაფებას ვერაფერი აჩერებს“, მაგრამ, მაინც, თავს უფლებას ვაძლევ, ჩემი აზრი საჯაროდ გამოვხატო.

დღეს საქართველოში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ თუ არც არსებულ რეჟიმს უჭერ მხარს და არც „ქართულ ოცნებას“, მაშინ სამშობლოს მტრად, მოღალატედ ითვლები და აზრის გამოთქმის უფლება არ გაქვს. წარმატებით მუშაობს ფორმულა: „შუა უნდა გაიკრიფოს“. როგორც ჩანს, სწორედ ეს ფორმულა და არა რაიმე კონკრეტული იდეა აკავშირებს სანდრო ბრეგაძეს „ქართულ ოცნებასთან“. არც ერთმა და არც მეორემ არ იცის, ან არ სურთ იცოდნენ, რომ ე.წ. „შუა“ მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც მუდამ იდეა აკავშირებდა, დღესაც აკავშირებს და კვლავაც ძალუძს იდეისთვის, სამართლიანობისთვის, კანონიერებისთვის თავგანწირული, უკომპრომისო, უანგარო ბრძოლა.

მთელი ამ ხნის მანძილზე ყურადღებით ვადევნებ თვალყურს როგორც ბიძინა ივანიშვილის, ასევე სანდრო ბრეგაძის პუბლიკაციებსა თუ ზეპირ გამოსვლებს, მაგრამ არსად წამიკითხავს და მომისმენია თუ რა იდეამ გააერთიანა ისინი, ან რა კონკრეტულ იდეას სთავაზობენ ეროვნული იდეოლოგიის მატარებელ ხალხს. „ეროვნულებისა“ და ივანიშვილის აზრთა აბსოლუტური თანხვედრა, როგორც თავად ბრეგაძე ერთ-ერთ ინტერვიუში განმარტავს, იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნული იდეოლოგიის აპოლოგეტს ყველაზე მეტად თურმე ის ხიბლავს და აღაფრთოვანებს, რომ ივანიშვილი „რომელიმე კონკრეტული იდეოლოგიის გაბატონების მომხრე კი არაა, ყველა მიმართულების განვითარება და მრავალპარტიული პარლამენტი სურს ქვეყანაში“.

პირადად მე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი და რიგითი ქართველი, ნაკლებად დავინტერესდებოდი ბრეგაძის პოზიციებითა და აზრებით, მოძრაობა „ეროვნულები“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთ სამართალმემკვიდრედ თავს რომ არ აცხადებდეს და საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელითა და ფოტოსურათებით არ მანიპულირებდეს.

„ქართულ ოცნებაში“ აწ უკვე „ინტეგრირებული“ „ეროვნულები“ ქართველი საზოგადოების, განსაკუთრებით კი სამეგრელოს მოსახლეობის გულის აჩუყებას ცდილობენ ბიძინა ივანიშვილის სიტყვებით: „ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შემდეგ საქართველოს სათავეში „ქართული ოცნების“ სახით პირველად მოვა ეროვნული და პატრიოტული ხელისუფლება“.

ბრეგაძისა და მისი თანამებრძოლების აღმაფრენისა და რწმენის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საფუძველს იძლევა ივანიშვილის გამონათქვამი: — „ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება იყო პირველი და დღემდე ერთადერთი ეროვნული ხელისუფლება საქართველოში“. ქართველი საზოგადოება, მათ შორის სამეგრელოს მოსახლეობა ეჭვს არ შეიტანდა მათ გულწრფელობაში, ბიძინა ივანიშვილს, ამ სიტყვების წარმოთქმამდე რამდენიმე თვით ადრე, პოლიტიკურ არენაზე ახალგამოსულს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ დღემდე ჭეშმარიტი ქართველებისთვის (და არა მხოლოდ ქართველებისთვისძ ზვიად გამსახურდია გმირობის, სამშობლოსთვის თავგანწირვის, დაუღალავი ბრძოლის, კაცთმოყვარეობის, სამართლიანობის, ღირსების, სინდისის საზომად რჩება, ზვიად გამსახურდია აუგად რომ არ მოეხსენიებინა, რაც ინტერვიუდან „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტების მიერ მიზანმიმართულად ამოღების მიუხედავად, ფართო საზოგადოებისთვის მაინც გახდა ცნობილი.

ქართველი ხალხი ბიძინა ივანიშვილის გულწრფელობაში, სამართლიანობასა და ეროვნულობაში ეჭვს არ შეიტანდა, თუკი ის საჯაროდ აღიარებდა იმ ფაქტს, რომ დღემდე არსებული ყველა ხელისუფლება, ყველა არჩევნები უკანონო და ფიქციაა და რომ დღეისათვის საქართველოში არსებული ყველა პრობლემის გადაჭრის ერთადერთი, სამართლიანი და მშვიდობიანი გზა კანონიერი ხელისუფლების აღდგენაა.

სანდრო ბრეგაძე თავს უფლებას აძლევს ილაპარაკოს არა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, არამედ სამეგრელოს მთელი მოსახლეობის სახელითაც, რომელიც თურმე სრულ მზადყოფნაშია უყოყმანოდ ჩადგეს იმ ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში, რომელსაც გიორგი ჭყონდიდელის, ილია ჭავჭავაძის, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების, მერაბ კოსტავას დარად წარუძღვება ბიძინა ივანიშვილი და მათ მიერ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს. ცხადია, ბრეგაძეს ერთობ სწადია სამეგრელოს მოსახლეობა დაარწმუნოს ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, იმ მიზნით, რომ „ეროვნულებმა“ ზუგდიდში სექტემბერში დაგეგმილ „ქართული ოცნების“ აქციაზე 20 ათასზე მეტ ადამიანს მოუყაროს თავი. სამწუხაროდ, ავიწყდებათ, რომ ქართველი ხალხი დღეს ვინმეს ბოლომდე რომ ენდოს, ამისთვის, მცირე ხნით მაინც, უკან იხედება, საგულდაგულოდ აკვირდება ვინ რა გზა გაიარა, რათა კიდევ ერთხელ არ დარჩეს მოტყუებული, გაცუცურაკებული, იმედგაცრუებული.

ამჟამად, წერილის მიზანი სულაც არ არის ბრეგაძის ინტერვიუში მოხმობილი ჩვენი ღირსეული, საამაყო წინამორბედებისა და „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრების მიერ განვლილი გზების შეპირისპირება და შეფასება. ქართველი საზოგადოება ამას თავად შეძლებს. გვინდა ყველა იმ პარტიას, პიროვნებას, ვინც ბატონი ზვიადის სახელით, ფოტოსურათებით, სამფეროვანი დროშებით ცდილობს გაიკვლიოს თბილი სავარძლებისაკენ მიმავალი გზა, მოვუწოდოთ რომ იარონ, იარონ და იმოქმედონ მხოლოდ საკუთარი სახელითა და საკუთარი ავტორიტეტით, მით უმეტეს, იმ საჩოთირო არჩევნების წინ, რომელიც კანონიერი ხელისუფლების დადგენილებით და საერთაშორისო სამართლითაც დღემდე უკანონოდ ითვლება.

საქართველოს ჰყავს კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება, რომელმაც ამ ორიოდე თვის წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნა მიმართვა ქართველი ერისადმი და რომელიც, სამწუხაროდ, არც ერთმა „დემოკრატიულმა“ გაზეთმა არ დაბეჭდა გარდა „ილორისა“ (იხ. 3-10 ივნისი, 2012 წ.ძ. კომპეტენტური, უფლებამოსილი პირების გზავნილი უცხოეთიდან პირდაპირ და ნათელ პასუხს იძლევა კითხვაზე: — „აბა რა ვქნათ?“...

დაბოლოს, ყველა სკეპტიკოსის გასაგონად კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვაცხადებ, რომ კანონიერი ხელისუფლება აღდგება საქართველოში, აღსრულდება ნება ღვთისა, ნება ერისა, საქართველოს მოსახლეობა გულწრფელად გაიხარებს და იზეიმებს.



ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი.

ეთერ მგალობლიშვილი,
25 აგვისტო, 2012 წ.

◉ არა არს რა დამალული...

# კახა მიქაია: ასეთი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, როგორიც აღმოვაჩინეთ სქურში, არსებობენ სვანეთში, ლებარდეში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში

უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შესახებ მინელებული აჟიოტაჟი ისევ განახლდა, რადგან წალენჯიხის რაიონის სოფელ სქურის ტერიტორიაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ამომრჩეველთა ლიგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კახა მიქაია თავის მეგობრებთან და ჟურნალისტებთან ერთად თავზე დაადგა მოულოდნელად ამ უკანონო ფორმირებათა დაჯგუფების ბანაკს. **„საქართველოს მოსახლეობას ახსოვს, თუ რა აჟიოტაჟი მოჰყვა ირაკლი ალასანიას მიერ გაკეთებულ განცხადებას ამ არაფორმალური დაჯგუფებების გამო. მე ამის შესახებ საუბარი გასული წლის ოქტომბრიდან დავიწყე. შემდეგ ჟურნალისტმა ნანა ფაჟავამ გადაიღო ეს ჯგუფი ჩემს სამეზობლოში რუსთაველის ქუჩაზე, ამიტომაც ხელისუფლება იძულებული გახდა ისინი გაეყვანა ქალაქიდან. მე მომივიდა ინფორმაცია, რომ წალენჯიხის რაიონის სოფელ სქურის ტყეში რაღაც შეიარაღებული ფორმირება იმყოფებოდა, ამიტომაც გადავწყვიტე გარკვეული დაზვერვითი საქმიანობა მეწარმოებინა. ამიტომაც ვთხოვე ჩემს მეგობარს საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9-ის“ ჟურნალისტს ნინუცა ბორჩხაძეს ჩამოსულიყო ზუგდიდში და დამხმარებოდა. ის მართლაც ჩამოვიდა და თავისი ფარული ვიდეოკამერით შეაღწია ამ დაჯგუფების ბანაკში. ნინუცამ მათ თავი გააცნო როგორც ტურისტმა. მეორე დღეს კი ჩემს მეგობრებთან და ჟურნალისტებთან ერთად თავზე დავადექი ამ დაჯგუფების წარმომადგენლებს. ისინი გაოგნებულნი იყვნენ, ვერაფერი ვერ გვიპასუხეს. გადაღების უფლებას არ გვაძლევდნენ, სადღაც გვაგზავნიდნენ ნებართვის მისაღებად, მაგრამ ვერ გვითხრეს სად უნდა მივსულიყავი. პოლიციის მანქანაზე კი გვითხრეს ეს ჩვენი საკუთრება არისო. მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს სწორედ ის დაჯგუფებაა, რომლებიც ჩემს მეზობლად ზუგდიდში იმყოფებოდნენ და შემდეგ აქეთ გადმოიყვანეს. მე ასევე გამაჩნია ინფორმაცია, რომ ისეთი შეიარაღებული ფორმირება, როგორიც აღმოვაჩინეთ სქურში, არსებობენ სვანეთში, ლებარდეში, წალენჯიხასა და ჩხოროწყუში.“** — აღნიშნა კახა მიქაიამ.



კახა მიქაიას განცხადებით, **ასეთ არაფორმალურ უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებს, რომელსაც მთლიანად აკონტროლებს ხელისუფლება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველნაირი მიზნისთვის. „ხელისუფლება ყოველნაირ ხერხს მიმართავს, რომ დარჩეს ხელისუფლებაში. წესები აქვს ყველაფერს, და მათ შორის ბრძოლასაც, ხოლო ბრძოლა წესების გარეშე საკუთარ მოსახლეობასთან არის დანაშაული, კრიმინალი. ზუგდიდში ძალიან მძიმე ბრძოლაა მოსალოდნელი, რადგან ნაციონალების კანდიდატი როლანდ ახალაია ადმინისტრაციულ რესურსს გამოიყენებს გასამარჯვებლად, მაგრამ ხალხის ძალისხმევას, ხალხის რისხვას წინ ვერაფერი დაუდგება“, — აცხადებს კახა მიქაია და მას მიაჩნია, რომ ირაკლი ალასანია არის ყველაზე წონიანი პოლიტიკოსი არამარტო „ქართულ ოცნებაში“, არამედ მთელ საქართველოში და თვლის რომ კოალიცია სწორად მოიქცა, როდესაც ის წარადგინა ზუგდიდში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად.**

ლადო ქირია,
ზუგდიდიდან

◉ ინფორმაცია

# უდმურტიის მხარის სამი მღვდელი რუსეთის პატრიარქს განუდგა

უდმურტიის მხარის სამმა მღვდელმა სრულიად რუსეთის პატრიარქს კირილს ღია წერილით მიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიბისის“ რუსული სამსახური ავრცელებს.

სასულიერო პირები აცხადებენ, რომ წირვის დროს პატრიარქის სახელს აღარ მოიხსენიებენ, ამის მიზეზად კი რუსული ეკლესიის მეთაურის მიერ ჩადენილ მღვდელმთავრისთვის შეუფერებელ საქციელს ასახელებენ.

— შეუძლებელია ჩვენი სულიერი მამა იყოს ის, ვინც არღვევს ეკლესიისა და წმინდა მამების დადგენილ წესებს. გთხოვთ, შეწყვიტოთ ხელისუფლებისადმი ბრმა მორჩილების პრაქტიკა. იზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენმა ხალხმა თქვენში დაინახოს არა მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა დამცველი და მათზე მლოცველი, არამედ, მათი მამხილებელიც. შეუძლებელია, ჩვენი შეშფოთება არ გამოიწვიოს იმან, თუ რა იოლად ურიგებენ საეკლესიო ჯილდოებსა და წმინდანთა სახელობის ორდენებს ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლებს. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ რუსეთის სოფლებში მოღვაწე სასულიერო პირების ცხოვრებას, რომლებიც სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობენ მაშინ, როდესაც სასულიერო პირთა არცთუ მცირე ნაწილი, ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიერ პატივდებული, ფუფუნებაში იხრჩობა, — ნათქვამია ღია წერილში, რომელიც ინტერნეტში ჯერ კიდევ 2011 წელს დაიდო, თუმცა მასმედიის ყურადღება ამ დღეებში მიიპყრო.

მოსკოვის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ისტორიკოსი და რელიგიათმცოდნე ბორის ფალიკოვი ამას Pussy Riot-ის სკანდალით გამოწვეულ პოლიტიკურ დაძაბულობას უკავშირებს.

ინტერპრესი

სად არის სიმართლე და სად სიცრუე?

# საარჩევნო სახელმძღვანელო ქრისტიანთათვის

ქრისტიან-სოციალისტები

**ქართველ ქრისტიან მრევლს ვთავაზობთ სწორი არჩევანისთვის უმნიშვნელოვანეს ხედვებს და კრიტერიუმებს, რათა ხმა მივცეთ იმ რეალურ პოლიტიკურ ძალას, რომელიც უფრო მეტად ეთანადება ჩვენს სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ მრწამსს.**

ხელმწიფება-მთავრობის არსებობა ღვთის მიერ არის დადგენილი და ადამიანთა თავისუფალი ნებით ხორციელდება. ამიტომაც ეკლესია ლოცულობს ქრისტესმოყვარე (კაცთმოყვარე) მთავრობისა და მხედრობისათვის.

ყველას ჩვენი წილი მოვალეობა და პასუხისმგებლობა გვაქვს სამშობლოს (სახელმწიფოს) და მოყვასის წინაშე, რასაც ჩვენი პოლიტიკური **არჩევანიც** განაპირობებს.

ჭეშმარიტმა ქრისტიანმა კარგად უწყის, რომ რწმენა შესაბამისი ქმედებით, საქმით უნდა დამტკიცდეს. ამიტომ არ უნდა ვიყოთ პასიური დამკვირვებლები ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პროცესებისა. ქრისტიანის მოქალაქეობრივი ვალია, არა მხოლოდ სწორი არჩევანი გააკეთოს, არამედ თავისი უნარის და მდგომარეობის შესაბამისად სასიკეთო ზემოქმედება მოახდინოს სხვებზე და თვითონაც გახდეს აქტიური პოლიტიკური სუბიექტი.

კანონს და ხელისუფლებას იქამდე უნდა ვეთანხმებოდეთ და ვემორჩილებოდეთ, ვიდრე ისინი სამართლიანობას იცავენ, ხოლო უსამართლო – ღვთისთვის არასათნო, არაბუნებრივ კანონებს და ქმედებებს კი ვამხელდეთ და ვაპროტესტებდეთ.

„უკეთუ ხელმწიფე (ხელისუფალი) უმსჯავრო და უსამართლო იყოს, ესე არა ღმრთისა მიერ არს, არამედ თავისა თვისისა დასასჯელად აღსდგების“ („მცირე სჯულის კანონი“).

ადამიანები თავისუფალი უნდა იყვნენ თავიანთი შეხედულებების გამოხატვისას და არ ეშინოდეთ ხელისუფლების მიერ მათი დევნისა და დასჯისა სიმართლისთვის.

ყველა საშინაო თუ საგარეო პრობლემის მხოლოდ მშვიდობიანი, არაძალადობრივი გზით გადაჭრა არის ქრისტიანთათვის მისაღები და მოსაწონი.

ადამიანს სახელმწიფოს მეშვეობით უნდა მიეცეს ღვთივბოძებული **თავისუფლებისა** და **თანასწორობის** განხორციელების, თავისი **ნიჭის რეალიზების** შესაძლებლობა.

**განათლება,** ცოდნის მიღება და მისი ზრდა არის განვითარების გასაღები და უმთავრესი მამოძრავებელი ძალა. სახელმწიფოს მოვალეობაა ხელმისაწვდომი გახადოს ხარისხიანი საშუალო, უმაღლესი და უწყვეტი განათლება და მუდმივად ზრუნავდეს მეცნიერების განვითარებაზე.

**ჯანმრთელობა,** ჯანსაღი ცხოვრების წესი და **გარემო (ეკოლოგია),** – ადამიანის სულიერი განვითარების საწინდარია. სახელმწიფოს როლი შეუცვლელია აღნიშნული პირობების შესაქმნელად.

**შრომა** ადამიანისთვის ღვთივდადგენილი ცხოვრების წესია, რომლის მიზანი მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა არ არის, ის ღირსეული სოციალური და სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელიცაა. შრომის უფლების განხორციელებისთვის ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

**მიწა (მამული),** ისევე როგორც მთლიანად ბუნება, საკრალურია, ამიტომ ჩვენ მას არ ვუყურებთ როგორც მხოლოდ ეკონომიკურ რესურსს, თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანს. მიწა, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მიწები, უნდა გახდეს სახელმწიფოსათვის მოვლისა და რეგულირების უმნიშვნელოვანესი საგანი, ხოლო **სოფლის მეურნეობის** ხელშეწყობა – მისი პოლიტიკის პრიორიტეტი.

სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ეროვნული **კულტურული მემკვიდრეობის** დაცვა-შენარჩუნებაზე. ჩვენი სულიერი და მატერიალური საგანძურისადმი არათუ ულიერი, არამედ გულგრილი დამოკიდებულებაც კი დაუშვებელია.

დედა-ენა, როგორც უფლისაგან ბოძებული საუნჯე და ერის იდენტობის უმნიშვნელოვანესი ნიშანი, ძვირფასია ჩვენთვის. მთავრობა ვალდებულია ზრუნავდეს სახელმწიფო ენის დაცვა-განვითარებაზე.

ვილოცოთ გაგვინათლდეს გონების თვალი, რათა გავარჩიოთ კარგი და ცუდი, სიკეთე და ბოროტება:

**– სად არის სიმართლე და სად სიცრუე**
**– სად სამართლიანობა და სად უსამართლობა**
**– სად სიმშვიდე და სად მრისხანება**
**– სად მშვიდობა და სად ომი**
**– სად თავისუფლება და სად ტირანია**
**– სად ხალხის ნება და სად ძალადობა**
**– სად ღვთის ნება და სად თავნებობა**
**– სად ტრადიცია და სად ფსევდოკულტურა**
**– სად ქველმოქმედება და სად ანგარება**
**– სად სარწმუნოება და სად ფარისევლობა**
**– სად სიყვარული და სად შური**
**– სად სასოება და სად უიმედობა**

ვილოცოთ სწორი არჩევანისთვის.

ვილოცოთ, რათა ხელი მოემართოს ქვეყნისათვის კეთილისმზრახველთ და კეთილისმყოფელთ.

ვილოცოთ სამართლიანი, მშვიდობიანი, **სასიკეთო ცვლილებებისთვის!**

**ქრისტიან-სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის**

**www.sdd.ge**

**facebook: ქრისტიან-სოციალისტური მოძრაობა**

წარმოუდგენელი საჩუქარი

**58 მოსამართლეს დილომში საჩუქრად ოროთახიანი ბინა გადაეცემა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სამმართველოს დეპარტამენტმა მრავალპროფილიანი სახლის მშენებლობაზე ტენდერი უკვე გამოაცხადა, რისთვისაც საქართველოს ბიუჯეტიდან 6 მილიონ 120 ათასი ლარი განისაზღვრა.**



# უბინაო მოსამართლეების დოლი იწყება



ამ ეტაპზე უცნობია, რა დამსახურებისთვის მიანიჭეს 58 მოსამართლეს ასეთი პრივილეგია. ისიც უცნობია, რა კრიტერიუმით გამოარჩევენ საქართველოს 300-ზე მეტი მოსამართლისგან 58 რჩეულს. თუმცა, ის კი ცნობილია, რომ რვა თვის შემდეგ ხელისუფლების გამორჩეულ მოსამართლეებს საქალაქო სასამართლოსთან ახლოს, დავით აღმაშენებლის ხეივნის მეათე კილომეტრზე მშენებარე ცხრასართულიან, ორსადარბაზონიან სახლში ჩააბარებენ ოროთახიან ბინების გასაღებს. თანადაფინანსების პრინციპით, ბინის ღირებულების 33 %-ს მოსამართლეებს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი დაუფარავს.

**მოსამართლეების მიმართ გამოჩენილ კეთილგანწყობას ჩვენი ოფიციოზი სოციალური დაცვის ეფექტიან მიდგომას უკავშირებს, თუმცა უფლებადამცველები მიიჩნევენ, რომ ეს არ შეესაბამება გაცხადებულ მიზნებს და აქ კორუფციული სქემა იმალება.**

ხელისუფლებისგან მიძღვნილი გულუხვი საჩუქარი მოსამართლეებისთვის არახალია. ჯერ კიდევ 2010 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ათ მოსამართლეს პრეზიდენტისგან სიმბოლურ ფასად ბათუმის ცენტრში გადაეცა ბინები. მაშინაც მოიძებნა გასამართლებელი მიზეზი, ამ მოსამართლეებს თურმე არ ჰქონიათ საცხოვრებელი ფართები ხსენებულ ტერიტორიაზე. ახლა კი „დამსახურებულ“ მოსამართლეთა რიცხვი 58-მდე გაიზარდა, რაც ნიშნავს, რომ შესაბამისი პირდაპირპროპორციულობით გაიზრდება მათი „დამოუკიდებლობის“ ხარისხი.

ამ ფაქტს ეხმიანება ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ თავმჯდომარე დიმიტრი ლორთქიფანიძე.

**For.ge**-სთან საუბარში იგი აცხადებს, რომ მოსამართლეების ამ სახით დასაჩუქრება გაუმართლებელი აქტია, რამაც მას საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადატანის პერიოდის ანალოგიური ფაქტი გაახსენა, როცა პრეზიდენტმა სიმბოლურ 1 ლარად ორ მოსამართლეს ბინა გადასცა.

**„ამ შემთხვევაშიც, მოსამართლეების მოქრთამვა ხდება იმ გარკვეული სამუშაოს ფასად, რომელიც მათ წლების განმავლობაში გასწიეს. მხედველობაში მაქვს იმ უკანონო გადაწყვეტილებების მთელი კასკადი, რაც მათ აქვთ მიღებული როგორც სისხლის სამართლის წარმოებაში, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. როგორც ჩანს, მათ დაუფასდათ თავიანთი კაპიტულანტური დამოკიდებულება აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის წინაშე, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ სახელისუფლო შტოს, დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას და, უბრალოდ, არიან აღმასრულებელი ხელისუფლების დანამატნი“,** – აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

მანვე გაიხსენა, რომ მოსამართლეს ისედაც ძალიან მაღალი ხელფასი აქვს, რაც საჯარო სამსახურში მყოფი პირისთვის გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე თუნდაც პარლამენტის წევრის ხელფასი. აქ რამდენიმე ათას ლარზეა საუბარი. გარდა ამისა, მოსამართლეებს პრემიის სახით საკმაოდ მაღალ დანამატს აძლევენ, რაც, ხშირ შემთხვევაში, გაორმაგებულ და გასამმაგებულ ხელფასს გულისხმობს.

**„რა თქმა უნდა, მოსამართლე უზრუნველყოფილია ბინით და დამატებითი საჩუქრის სახით მათთვის ბინის გადაცემა სწორედ ქრთამის ლეგალიზაციის მცდელობაა. ეს არის მათი მონური მორჩილების ფასი“,** – მიიჩნევს დეპუტატი.

მეტიც, დიმიტრი ლორთქიფანიძეს მსოფლიოში არსად ეგულება ისეთი პრეცედენტი, როცა მოსამართლეს, დამატებითი ჯილდოს სახით, ბინას გადასცემენ. მით უმეტეს, აქ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზეა საუბარი, ანუ უბრალო მოქალაქეების ჯიბის ხარჯზე.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ოპოზიციონერი დეპუტატი მიიჩნევს, რომ ეს პირდაპირ კორუფციული მაგალითია და წინასაარჩევნოდ ამ კამპანიის დაწყება მკვეთრი მესიჯია მოსამართლეებისთვის, რომ მათ მომავალშიც დაუფასდებათ მონური მორჩილება. ამასთან, დიმიტრი ლორთქიფანიძე არ გამორიცხავს, რომ, მოსამართლეებს გარდა, შესაძლოა, სხვა მიმართულებისა და პროფესიის ადამიანებიც აღმოჩნდნენ ბინებით დასაჩუქრებულნი.

**ადვოკატი ლია მუხაშავრია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენა ხელისუფლებას ნამდვილად გამოადგება და მმართველი გუნდი ამ ფაქტს არა მარტო არჩევნებთან დაკავშირებით გამოიყენებს, არამედ სამიდღემჩიოდ, რადგან ასეთი საჩუქრის მიღება ნებისმიერ პირს საჩუქრის გამცემზე დამოკიდებულს გახდის.**

მისი თქმით, ჩვენს სასამართლოს საზოგადოების მხრიდან ნდობა ისედაც არ ჰქონდა და ახლა ეს არის სრულიად შემზარავი და წარმოუდგენელი ფაქტი. ამდენად, ადვოკატის აზრით, საზოგადოებამ ამაზე აშკარა პროტესტი უნდა გამოხატოს, რადგან ეს არის ყველაზე ცუდი რამ, რაც კი შეიძლება ხელისუფლებამ მოსამართლის დამოუკიდებლობას დამართოს.

**„თუ თბილისში 58 ისეთი მოსამართლე გვყავს, ვისაც ბინა არ აქვს, ვაი, ჩვენს თავს, რადგან მოსამართლეს ელემენტარული ყოფითი პრობლემები მოგვარებული თუ არ აქვს და დამოკიდებულია იმაზე, ექნება თუ არა ბინა, ასეთი მოსამართლე, თავისი ყოფითი და სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი ვერასდროს იქნება. მე არ მესმის, რატომ დაინიშნა ამდენი უბინაო მოსამართლე თბილისში?! ალბათ, მათ, სადღაც რაიონებში, საქართველოს ტერიტორიაზე ჰქონდათ საცხოვრებელი სახლები. რატომ არიან ისინი ასეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში?! თანაც, რაკი არ არის წინასწარ განსაზღვრული მკაფიო კრიტერიუმი, თუ ვის უნდა მიეცეს ბინა, ახლა დაიწყება დოლი და შეჯიბრი იმაში, ვინ „დაიმსახურებს“ ამ ბინის მიღებას. ეს სრულიად დაუშვებელია. რაც არ უნდა კონფიდენციალურად მომხდარიყო ეს, მოსამართლეებს შორის ამ ცნობის გავრცელება ძალიან სერიოზულ ვნებათაღელვას გამოიწვევდა, რადგან დაახლოებით 300 მოსამართლე გვყავს“,** – აღნიშნა ლია მუხაშავრიამ.

**„მოსამართლეებისთვის ბინების საჩუქრად გადაცემის ამ წარმოუდგენელი ფაქტის გასაჩივრება, სამწუხაროდ, ჩვენში არ მოხერხდება, რადგან ბიუჯეტშია შეტანილი ეს მუხლი და საბიუჯეტო ცვლილებას ძალიან რთული საპარლამენტო პროცედურა სჭირდება. მთელი ქვეყანა რომც დავირაზმოთ და მომჩივანნი და მოსარჩელე გავხდეთ, გარწმუნებთ, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი არც ერთი მოსამართლე ამ სასამართლო საკითხს არ განიხილავს და მომჩივანის სასარგებლოდ არ გადაწყვეტს. მოსამართლეებისთვის ეს ნამდვილი საჩუქარია, პირდაპირ ბინების საკუთრებაში გადაცემა, რაც პირდაპირი დატვირთვაა იმისთვის, რომ ამ მოსამართლემ ნებისმიერი დავალება უნდა შეასრულოს და ნებისმიერი უკანონობა დააკანონოს,“** – აცხადებს ლია მუხაშავრია.

მარიამ ლოლაშვილი

რა იქნება ხვალ?

# „ცუგცვანგი" ქართულ პოლიტიკაში,

## ანუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ოქტომბრის არჩევნების შემდეგ

***„ქართული ოცნება" აპირებს მომავალ პარლამენტში უმრავლესობით იყოს წარმოდგენილი. კოალიციის წარმომადგენლები მუდმივად აცხადებენ, რომ 1 ოქტომბრის არჩევნებში აუცილებლად გაიმარჯვებენ. მოვლენები ასე რომც განვითარდეს, საკმაოდ საინტერესო სიტუაციაში აღმოვჩნდებით, რადგან გვეყოლება ოპოზიციური პარლამენტი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის მიერ წარდგენილი მთავრობის დამტკიცება მოუწევს. შეგახსენებთ, „ნაციონალური მოძრაობის" როგორც ახლანდელი, სავარაუდოდ მომავალი პრემიერ-მინისტრიც (ყოველ შემთხვევაში საპრეზიდენტო არჩევნებამდე) ვანო მერაბიშვილია, „ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი კი კოალიციის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი.***

***ოქტომბერში, როდესაც პარლამენტი დაკომპლექტდება, ქვეყნის პრეზიდენტი კვლავ მიხეილ სააკაშვილი იქნება. ცხადია, „ქართული ოცნება" მომავალ პარლამენტში უმრავლესობითაც რომ მოვიდეს, სააკაშვილი პრემიერ-მინისტრად თავის კანდიდატურას ვანო მერაბიშვილს წარადგენს და არა ბიძინა ივანიშვილს. „ქართული ოცნების" მიზანი კი მხოლოდ საპარლამენტო მმართველობის ხელში აღება არ არის.***

***რა თქმა უნდა, კოალიცია აღმასრულებელი ხელისუფლებისთვისაც იბრძოლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ისე, რომ მთავრობა სააკაშვილის გუნდით იქნება დაკომპლექტებული, პარლამენტი კი ოპოზიციური შემადგენლობის იქნება. ამიტომ, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ურთიერთობის დალაგება ცოტა არ იყოს, გაუჭირდება.***

***როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ასეთ შემთხვევაში და ქართული კანონმდებლობის თანახმად, ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად რა პროცედურებია გათვალისწინებული, ამის შესახებ for.ge-ს კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე ესაუბრება.***



— „საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როგორც კი პარლამენტი თავისი წევრების უფლებამოსილებას სცნობს, მთავრობას უფლებამოსილება ეხსნება, ანუ გადამდგარად ითვლება. ამიტომ, პრეზიდენტმა პარლამენტს მთავრობის ახალი შემადგენლობა უნდა წარუდგინოს ნდობის მისაღებად. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ პრეზიდენტს აქვს უფლება, პარლამენტს პრემიერ-მინისტრი და მთელი მინისტრთა კაბინეტი წარუდგინოს. მთავრობამ პარლამენტს უნდა წარუდგინოს თავისი სამოქმედო პროგრამა, რის შემდეგაც პარლამენტმა ნდობის საკითხს უნდა უყაროს კენჭი.

მოდით, განვიხილოთ, რა შეიძლება მოხდეს პარლამენტში „ქართული ოცნების" უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში. ერთი ვარიანტი ასეთია — პრეზიდენტი არ შედის დაპირისპირებაში პარლამენტთან (რა თქმა უნდა, ეს ვერსია ნაკლებად სავარაუდოაძ და მას მთავრობის იმ შემადგენლობას წარუდგენს, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობას, ანუ „ქართულ ოცნებას" სურს, ანუ ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრად და შემდეგ ის მინისტრები, ვისაც ბიძინა შეარჩევს. ასეთ შემთხვევაში, პარლამენტი ნდობას გამოუცხადებს მთავრობას და ურთიერთობა პარლამენტსა და მთავრობას შორის უპრობლემოდ გაგრძელდება.

დღეს მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტს შეუძლია საპარლამენტო უმრავლესობის აზრი საერთოდ არ გაითვალისწინოს და წარუდგინოს მისთვის სასურველი მთავრობის შემადგენლობა, ანუ პრემიერ-მინისტრი მერაბიშვილი და მათთვის სასურველი მინისტრები. ასეთ შემთხვევაში საპარლამენტო უმრავლესობა მთავრობას ნდობას არ გამოუცხადებს.

**— რა ხდება ამის შემდეგ, პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტს მთავრობის იგივე შემადგენლობა ხელახლა წარუდგინოს?**

— დიახ, მას შეუძლია იგივე შემადგენლობა მეორედ წარადგინოს, ასევე მესამედაც, მაგრამ პარლამენტი მთავრობას კვლავ არ გამოუცხადებს ნდობას. აქვე გეტყვით, რომ პარლამენტის არჩევიდან 6 თვის განმავლობაში პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება არ აქვს. ამიტომ, იმ ყოვლად უკულმართი ნორმების საფუძველზე, რაც კონსტიტუციაში წერია, პრეზიდენტი თავად დანიშნავს მისთვის სასურველ მთავრობას.

**—რამდენჯერ აქვს უფლება პრეზიდენტს, რომ პარლამენტს მთავრობის ერთი და იგივე შემადგენლობა წარუდგინოს?**

— რამდენადაც მახსოვს, სამჯერ და ამის შემდეგ უკვე შეუძლია მთავრობა თავად დაამტკიცოს. შედეგად ვღებულობთ ასეთ ვითარებას — გვეყოლება პარლამენტი და მთავრობა, რომელსაც პარლამენტი არ უჭერს მხარს.

**— ეს ხომ პოლიტიკური კრიზისია?**

— რასაკვირველია, ეს არის პოლიტიკური კრიზისი, რადგან ასეთი მთავრობის წინადადებებს, კანონპროექტებს პარლამენტი, სავარაუდოდ, მხარს არ დაუჭერს. ნაკლებად სავარაუდოა, ასეთმა მთავრობამ ისეთი წინადადებები და კანონპროექტები წარადგინოს, რაც ოპოზიციურ პარლამენტს მოსწონს. შესაბამისად, ეს კანონები ვერ გავა. პრეზიდენტი პარლამენტს ვერ დაითხოვს, მაგრამ იქვე რჩება ისეთი საკითხები, რომლებსაც პრეზიდენტი პარლამენტის უკითხავად დაამტკიცებს. მაგალითად, ასე შეიძლება მოხდეს ბიუჯეტის შემთხვევაში, რადგან ეს მნიშვნელოვანი საკითხია.

**— ამდენად, პრეზიდენტს პარლამენტის გარეშე შეეძლება ბიუჯეტის დამტკიცება?**

— დიახ, მთავრობა ხომ წარუდგენს პარლამენტს 2013 წლის ბიუჯეტს, რომელსაც ოპოზიციური პარლამენტი, სავარაუდოდ, მხარს არ დაუჭერს. ამის შემდეგ, რადგან პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება არ ექნება, იგი თავისი დეკრეტით დაამტკიცებს ბიუჯეტს. ამდენად, მუდმივად იქნება პოლიტიკური კრიზისი.

**— გამოდის, რომ პრეზიდენტი და მთავრობა პარლამენტთან კოორდინაციის გარეშე იმოქმედებენ?**

— დიახ, პარლამენტის ნების საწინააღმდეგოდ, მაგრამ იქ სხვა პრობლემებიც ჩნდება. პარლამენტი მიიღებს არაერთ ისეთ კანონს, როგორიც საპარლამენტო უმრავლესობას, ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებას", საჭიროდ მიაჩნია. პრეზიდენტს შეუძლია ვეტოს უფლება გამოიყენოს, ვეტოს დაძლევა კი „ქართულ ოცნებას" შეეძლება იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ კანონს პარლამენტის წევრთა სამი მეხუთედი დაუჭერს მხარს. თუ „ქართულ ოცნებას" ექნება 60%-იანი და არა უბრალო უმრავლესობა, მაშინ იგი შეძლებს ისეთი კანონების მიღებას, როგორიც თავად სწორად მიაჩნია, ანუ რითაც შეძლებს თავისი საპროგრამო ამოცანების შესრულების დაწყებას. ხოლო თუ „ქართულ ოცნებას" სამმეხუთედიანი უმრავლესობა არ ექნება, მაშინ იგი ვეტოს ვერ დასძლევს და შევდივართ ე.წ. „ცუგცვანგის" მდგომარეობაში, ანუ რაც პრეზიდენტს და მთავრობას ენდომება, იმას პარლამენტი არ მიიღებს, ხოლო რაც პარლამენტს ენდომება, იმას პრეზიდენტი დაბლოკავს, მაგრამ თუ „ქართულ ოცნებას" პარლამენტში ორმესამედიანი უმრავლესობა ექნება, მაშინ ვერც პრეზიდენტი და ვერც მთავრობა ვერაფერს გახდებიან. ასეთ შემთხვევაში პარლამენტს შეეძლება კონსტიტუციის შეცვლაც, პრეზიდენტის იმპიჩმენტის განხორციელებაც, ასევე ნებისმიერი კანონის მიღებაც და პრეზიდენტი უკვე ამას წინ ვერ აღუდგება. 3/5 უმრავლესობის შემთხვევაში პარლამენტი შეძლებს ნებისმიერი კანონის მიღებას, მაგრამ მას პრობლემა ექნება ორგანული კანონის მიღებისას და კონსტიტუციაში ცვლილების შეტანისას, ანუ აქ უკვე ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი უმრავლესობით მოვა პარლამენტში „ქართული ოცნება".

**— მოდით, განვიხილოთ ის ვარიანტი, როდესაც პრეზიდენტი ვეტოს ადებს პარლამენტის გადაწყვეტილებებს. ეს პოლიტიკური კრიზისი 6 თვე რომ გაგრძელდეს, ამის შემდეგ პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება ექნება?**

— 6 თვის გასვლის შემდეგ პრეზიდენტს ექნება გარკვეული დრო, დაახლოებით ერთთვიანი შუალედი, როდესაც მას პარლამენტის დათხოვნის უფლება ექნება.

**— ქართული კანონმდებლობით, რამ შეიძლება განაპირობოს ამ უფლების წარმოშობა?**

— დათხოვნის უფლება შეიძლება განაპირობოს, მაგალითად იმან, რომ პარლამენტმა მთავრობას ნდობა არ გამოუცხადოს, ასევე იმან, რომ პარლამენტმა მოინდომოს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება, თუნდაც ეს საკითხი კენჭისყრაზე ჩავარდეს. გარდა ამისა, თუკი პარლამენტი ბიუჯეტში შესატან ნებისმიერ ცვლილებას არ დაამტკიცებს, პრეზიდენტს ესეც აძლევს პარლამენტის დათხოვნის უფლებას. ასევე, თუ პარლამენტი მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს არ მიიღებს, მთავრობას შეუძლია ნდობის საკითხი დასვას და თუ პარლამენტმა ეს საკითხიც არ მიიღო, მაშინ პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა შეუძლია. ამდენად, არის რამდენიმე ისეთი საფუძველი, როდესაც პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის წინაპირობა ხელოვნურად შეიძლება შეიქმნას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება" შეეცდება ისეთი კანონების მიღებას, რომელიც ხალხს სჭირდება და რასაც ხალხი კარგად დაინახავს. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ კანონებს პრეზიდენტი დაბლოკავს, მაშინ პარლამენტის დათხოვნის და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ნაციონალები გაცილებით უფრო ნაკლებ ხმას მიიღებენ, ვიდრე ოქტომბრის არჩევნებისას, ვინაიდან იმათ შორისაც კი, ვინც შეიძლება ოქტომბრის არჩევნებში „ნაციონალურ მოძრაობას" დაუჭიროს მხარი, უკმაყოფილების განცდა გაჩნდება. ასე რომ, დღევანდელ მმართველ გუნდს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში წაგება უფრო დიდი ექნება. ამდენად, პრეზიდენტის მხრიდან ასეთი მოქმედება საკმაოდ სარისკოა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ უკვე პარლამენტი შეძლებს იმას, რომ საარჩევნო გარემო გააუმჯობესოს. ამდენად, „ქართულ ოცნებას" უფრო მეტი რესურსი ექნება იმისთვის, რომ რიგგარეშე არჩევნებში კიდევ უფრო მეტი უპირატესობით გაიმარჯვოს.

**რუსიკო უშიკიშვილი**

ინფორმაცია

## სომხეთის პრეზიდენტი აზერბაიჯანს ომის დაწყებით ემუქრება

**სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი მეზობელ აზერბაიჯანს „იძულების" შემთხვევაში ომით ემუქრება. სომხური მედიის ცნობით, ამის შესახებ სარგსიანმა აზერბაიჯანში რამილ საფაროვის შეწყალების კომენტირებისას განაცხადა.**

**მისი თქმით, სომხეთს ომი არ სურს, თუმცა, თუ აიძულებენ, მზად არის ბრძოლისა და გამარჯვებისთვის.**

**რამილ საფაროვის შეწყალებას, რომელმაც სომეხი ოფიცერი გურგენ მარგარიანი მოკლა, სარგსიანმა საშინელება უწოდა და აზერბაიჯანი მისი ჰეროიზაციის გამო გააკრიტიკა.**

**სომხეთი აზერბაიჯანს მკვლელის შეწყალების გამო ეუთოს მინსკის ჯგუფშიც უჩივლებს.**

**აზერბაიჯანელი ოფიცერი რამილ საფაროვი 2004 წელს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების გასავლელად უნგრეთში იმყოფებოდა, სადაც სომეხი ოფიცერი გურგენ მარგარიანი ნაჯახის ჩარტყმით მოკლა. საფაროვმა განაცხადა, რომ მკვლელობის მომენტში შეურაცხად მდგომარეობაში იმყოფებოდა. კონფლიქტი კი იმის გამო მოხდა, რომ მარგარიანმა აზერბაიჯანის სახელმწიფო დროშა შეურაცხყო.**

**2012 წელს აზერბაიჯანმა საფაროვის სამშობლოში ექსტრადირებას მიაღწია, სადაც ვადამდელი გათავისუფლების უფლება მას დაპატიმრებიდან 25 წლის შემდეგ მიეცემოდა, თუმცა ბაქოში ჩასვლის დღესვე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა რამილ საფაროვი შეიწყალა.**

ინტერპრესი



◎ იუბილე



# ღირსეულად განვლილი 70 წელი

ბატონ **ომარ მარგველაშვილს** უკლებლივ ყველა იცნობს მშენებელთა დიდი არმიიდან, როგორც დადებით პიროვნებას და კარგ სამეგობრო კაცს. ის სრულიად ახალგაზრდა, მუშაობას იწყებს თბილისის სპორტის სასახლის მშენებლობაზე მებეტონედ, მეარმატურედ, მემონტაჟედ... ოცდახუთი წლისა დააწინაურეს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის უფროსად, რაც ძალზე საპასუხისმგებლო საქმე იყო.

კომბინატის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, რასაც მან თავი კარგად გაართვა, ო. მარგველაშვილი ინიშნება „საქშახტმშენის" ტრესტის მმართველად.

გაითვალისწინეს რა მისი კარგი და წარმატებული მუშაობა, მალე საქართველოს მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ გადაიყვანეს.

რესპუბლიკებში ახალგაზრდა ხელმძღვანელი მუშაკების მომზადების მიზნით, იმ ხანად მოსკოვში არსებობდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემია, რომლის ორწლიან კურსებზე გაგზავნეს ბატონი ომარი.

შემდგომ პერიოდში იგი კვლავ საქართველოშია და ხელმძღვანელ თანამდებობაზე ინიშნება.

ო. მარგველაშვილს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩერნობილის ავარიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების საქმეში.

1988 წლის მიწისძვრით დაზარალებული სომხეთის მოსახლეობის დასახმარებლად, საქართველოს მთავრობამ შექმნა საგანგებო შტაბი, რომლის ხელმძღვანელადაც ბატონი ომარ მარგველაშვილი გაიგზავნა.

შტაბის ნაყოფიერი მუშაობით მოძმე სომეხ ხალხს დიდი დახმარება გაეწია, განსაკუთრებით მიწისძვრის პირველ დღეებში: გადაეცათ ტექნიკა და სპეციალისტებით დაკომპლექტებული ბრიგადები, შეიქმნა სპეციალური სამშენებლო სამმართველო.

სადაც არ უნდა ეშრომა ბატონ ომარს, იქნებოდა ეს საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილეობა თუ ტურიზმის და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეობა, ყველგან გამოირჩეოდა საქმის ცოდნით და პროგრესული მეთოდების დანერგვის ინიციატორად.

ახლაც, ხელმძღვანელობს რა მსოფლიოში ცნობილ „თბილღვინოს", მისი კომპანია ერთ-ერთი პირველია საქართველოში ღვინის მწარმოებელ 127 კომპანიას შორის.

მშენებლობის დარგის გამოჩენილ ორგანიზატორს მრავალი ორდენი და წოდება აქვს მინიჭებული, მათ შორის – საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის. ამ ბოლო დროს კი, რამაც ძალზე გაგვახარა მშენებლები, მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სხვათა შორის ამ რამდენიმე ხნის წინათ მკითხველმა მიიღო მისი მოგონებათა წიგნი სათაურით „დრო, დრო აღნიშნე" და გაოცებული დარჩა მისი თხრობის უნარით, შესანიშნავი მანერით.

გულით გისურვებთ ბატონო ომარ, მთელი თქვენი ოჯახის და მეგობრების წრესთან ერთად, ჯანმრთელობას და წარმატებებს!

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმის, საქართველოს მშენებელთა კავშირისა და მშენებელ ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის სახელით

**ლევან მახვილაძე,**
საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო პრეზიდენტი;

**მალხაზ ბედიაშვილი,**
საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ევროკავშირის ექსპერტი მშენებლობის დარგში, მშენებელ ექსპერტთა ასოციაციის თავმჯდომარე.

◎ პოზიცია

# არა მხოლოდ მიშისტები უმღვრევენ ხალხს ტვინს

**ლოპოტის ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან 11 ბოევიკის განადგურების შემდეგ საქართველოში გაისმა „ოპოზიციური" ხმები, რომ ბოევიკები და მუსლიმები საერთოდ, ჩვენ ამას „არ გვაპატიებენ"**. ამგვარი სულისკვეთებით ისაუბრა თვით აფხაზეთში ნაომარმა გიორგი ყარყარაშვილმა, რომელმაც სხვებზე უკეთ იცის, რამდენად დაუნდობელნი არიან – ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები. ბუნებრივია, გასაგებია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი სიბრიყვე – ერთის მხრივ, ემტერება რუსეთს და „მფარველობს" ჩრდილოკავკასიელ ხალხებს, ეგრეთ წოდებული ჩერქეზთა გენოციდის აღიარების გზით მათ ისტორიაში ჩარევის ჩათვლით, მეორეს მხრივ კი იმავე რუსეთის მტერ ბოევიკებს დაარტყა. ანუ ხელისუფლებამ მოახერხა როგორც მოსკოვის, ისე მოსკოვის მტრების გადაკიდება.

მაგრამ აპრიორი არანაირად არ შეიძლება უარი ვთქვათ საქართველოს მხრიდან ჩრდილოკავკასიელ (სინამდვილეში კი - საერთაშორისოძ ბოევიკებზე – სალაფიზმის მიმდევრებზე (პოპულარულ ენაზე „ვაჰაბიზმი"ძ დარტყმის მიყენებაზე. როდესაც ცდილობენ, ხალხს ჩაუნერგონ აზრი, თითქოს „ჩვენ არ გვაპატიებენ", ამის კვალიფიცირება შეიძლება, როგორც პორაჟენულობის (რუსული სიტყვიდან – пораженчество, ფრანგულად – defaitismeძ და პანიკმახერობის მცდელობა. საქართველოს, როგორც სახელმწიფოს და ახლო მომავალში უცილობლად რუსეთის ახლო მოკავშირეს (თუკი მას გადარჩენა სურსძ, აქვს სრული უფლება და მოვალეცაა, წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერი წარმოშობის ბოევიკებს, მით უმეტეს, ჩვენ გვახსოვს, რა როლი შეასრულეს ამ ბოევიკებმა მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ აფხაზეთში.

სხვა საქმეა, რომ ჩატარებული კონკრეტული „სპეცოპერაცია" ხელისუფლებას სჭირდებოდა „შიდა მოხმარებისთვის", არჩევნების წინ. ამ თვალსაზრისით მის მიერ ჩადენილი ქმედება დაგმობას იმსახურებს. მით უმეტეს, რომ იგივე ხელისუფლება ჩრდილოკავკასიელებს რუსეთის წინააღმდეგ აქეზებს – ავიღოთ მაგალითად, თუნდაც ტელეკომპანია „პიკ"-ის შექმნა, რომელიც თავად საქართველოში არავის აინტერესებს და არავის სჭირდება, მაგრამ მაინც ფინანსდება ქართული სახელმწიფოს მიერ, ერთი მიზნით – ანტირუსული პროპაგანდის იარაღად გამოსაყენებლად. ჩატარებული „სპეცოპერაცია", სამწუხაროდ, არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება გონს მოეგო და ცდილობს, ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობების დალაგებას. ამ ხელისუფლებამ ყველა უკან მომავალი ხიდი დაწვა.



კიდევ ერთი მომენტი საქართველოს შსს ცალყბად აცხადებს, რომ მოკლული 11 ბოევიკიდან *რამდენიმე* რუსეთის მოქალაქეა. გამოდის, რომ საქმე მართლაც საერთაშორისო ბანდასთან გვაქვს, რომელშიც ზოგიერთი საქართველოს მოქალაქეც მონაწილეობდა, განსაკუთრებით, თუკი დავუჯერებთ რადიო „ობიექტივის" სტუდიაში განხორციელებულ ამ სატელეფონო ზარს – ქალის ხმა ქართულად ამბობს, რომ საქართველოს მუსლიმები, კონკრეტულად პანკისელები, არ აპატიებენ სააკაშვილს თავიანთი ხალხის მკვლელობას. მაგრამ ქალის ხმა არ არის პანიკაში ჩავარდნის საბაბი, პირიქით, უნდა მოვეგოთ გონს და გავიგოთ, რომ საქართველო რუსეთის გვერდით უნდა იდგეს, სხვა გზა მას არ აქვს. თავის მხრივ, რუსეთმაც საბოლოოდ უნდა შეიგნოს , რომ საქართველოს გარეშე მისი პოზიციები კავკასიაში არასოდეს იქნება მყარი. ეს კი ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან, მან უნდა გადახედოს თავის პოზიციას ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მიმართ.

**ევრაზიის ინსტიტუტი**

◎ ახალი პროგრამა

# მილიონი დაზღვეული ადამიანი – წინასაარჩევნოდ

**1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა სახელმწიფო დაზღვევის ახალი პროგრამა, რომლის მიხედვითაც უფასო სადაზღვევო პოლისით ისარგებლებენ ასაკით პენსიონერები, 0-დან 5 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვები, სტუდენტები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. ექსპერტები აცხადებენ, რომ სახელმწიფომ ბავშვების და მოხუცების დაზღვევით, ერთი მხრივ, საკუთარ თავზე აიღო ყველაზე მაღალი რისკჯგუფის დაზღვევის პასუხისმგებლობა და, ამასთანავე, წინასაარჩევნო ქულებიც ჩაიწერა. შეიძლება თუ არა ახალი სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე შეფასდეს როგორც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება – იარაღი, რომლის დახმარებითაც მმართველი ძალა მილიონი დაზღვეული ადამიანის ხმას მიიღებს?**

1 სექტემბერს დაზღვევის სახელმწიფი პროგრამის ამოქმედებას წინ უძღოდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამართული თათბირი, რომელზეც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ 1 სექტემბრიდან მკვეთრად გაიზრდება სამედიცინო ცენტრებში პაციენტების მიმართვიანობა და კლინიკებს მიაკითხავს ბევრი ისეთი ადამიანი, ვინც მძიმე სოციალური პირობების გამო ექიმთან 10-15 წელია, არ ყოფილა, და რომ კლინიკები და სადაზღვევო კომპანიები აღნიშნულ გამოწვევას მომზადებულები უნდა შეხვდნენ.

**1 სექტემბერს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე კი ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ სამინისტრომ 440 მონიტორი გადაამზადა, რომლებიც ხელს შეუწყობენ კლინიკებში რიგების მართვას, ახლად დაზღვეულებს კი პოლისის გამოყენების წესებს განუმარტავენ. მინისტრის განცხადებით, სადაზღვევო პროგრამის ამოქმედების პირველ დღეს სადაზღვევო პოლისით უკვე 4000-ზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა.**

საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის წევრი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი აცხადებს, რომ ეს სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის ფარგლებშიც დაზღვეულთა რიგებს მილიონამდე ადამიანი მიემატება. მთლიანობაში, ქვეყანაში დაზღვეულთა რაოდენობა ორ-ნახევარ მილიონს მიუახლოვდება, სახელმწიფოს ინვესტიცია კი, გიგი წერეთლის თქმით, დაახლოებით 200 მილიონი ლარია.

**„ეს პაკეტი, რომლის ნომინალური ღირებულება 15 ლარია, რეალურად გაცილებით ძვირი ღირს. ინდივიდუალურად ეს, შესაძლოა, ათჯერ და თხუთმეტჯერ ძვირი იყოს",** – გვეუბნება გიგი წერეთელი.

**შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო დაზღვევის 15-ლარიანი პაკეტი ითვალისწინებს: ულიმიტო გადაუდებელ ოპერაციებს; 20-პროცენტიანი თანადაფინანსებით, ნებისმიერ გეგმიურ ოპერაციას 15 000 ლარის ფარგლებში; 20 %-იანი თანადაფინანსებით, ქიმიურ თერაპიასა და სხივურ თერაპიას; ექიმის უფასო კონსულტაციას; ანაზღაურებს სისხლისა და შარდის ანალიზის საფასურს. მედიკამენტების ლიმიტი 200 ლარით არის განსაზღვრული და სახელმწიფო მათი ღირებულების 50%-ს ფარავს.**



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი დაზღვევის საკითხებში თენგიზ ვერულავა რადიო „თავისუფლებასთან" საუბარში შენიშნავს, რომ პენსიონერები და ბავშვები ყველაზე დიდ რისკჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელთა დაზღვევას სადაზღვევო კომპანიები, მოსალოდნელი დიდი ხარჯების გამო, როგორც წესი, თავს არიდებენ. სადაზღვევო კომპანიას ყოველთვის ურჩევნია შედარებით ჯანმრთელ ადამიანებს მოემსახუროს, ვისი ავად გახდომის რისკიც დაბალია. სწორედ ამიტომ არის, რომ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ამ კატეგორიას სახელმწიფო იცავს. ეს პროცესი ნელ-ნელა საქართველოშიც იწყება:

**„აშშ რომ ავიღოთ, როგორც ყველაზე ლიბერალური ქვეყანა, სადაც სავალდებულო დაზღვევა არ არსებობს და იქ არის ნებაყოფლობითი დაზღვევა, იქაც კი არსებობს სპეციალური პროგრამები – „medicaid" და „medicare" – უმწეოთა პროგრამა და პენსიონერთა დაზღვევის პროგრამა. ამიტომ იქაც სახელმწიფომ გადაწყვიტა, რადგან ასაკოვან ადამიანებს სადაზღვევო არ დააზღვევს, თავად აელო საკუთარ თავზე ეს პასუხისმგებლობა და ვალდებულება, ასეთი მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ადამიანები თავად დაეზღვია. ამიტომ, ვფიქრობ, ყველა სახელმწიფომ უნდა უპასუხოს თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნებს და საკუთარ თავზე აიღოს ასეთი რისკჯგუფების დაზღვევის საკითხი".**

ზოგადად დაზღვევის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე არავინ დავობს, თუმცა, წინასაარჩევნოდ ხელისუფლების მიერ ასეთი მასშტაბური პროგრამის წამოწყება არაერთი მკვლევარის მიერ მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად ფასდება.

**ეკა ქევანიშვილი,**
რადიო „თავისუფლება"

# ასტანა-ტაშკენტი: თანამშრომლობის ახალი ეტაპი

ცენტრალურ აზიაში მტკიცდება ორი სახელმწიფოს – ყაზახეთისა და უზბეკეთის ტანდემი. ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებს განზრახული აქვთ მაქსიმალურად მოაწესრიგონ მჭიდრო თანამშრომლობა ყველა სფეროში, რათა უშიშროების უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტაში მოახდინონ უნიფიცირებული მიდგომები. ეს შეესაბამება როგორც რეგიონის სახელმწიფოებს, ისე მთლიანად მსოფლიოს სტრატეგიულ ინტერესებს.

ოცი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დაიშალა სსრ კავშირი, ყაზახეთსა და უზბეკეთს შორის არაერთგზის წარმოიქმნილა რთული დიპლომატიური მომენტები. ასტანაც, ტაშკენტიც აცხადებდნენ პრეტენზიას ლიდერობაზე რეგიონში. დამოუკიდებლობის საწყის პერიოდში სწორედ ამან განსაზღვრა ქვეყანაში უცხოელი ინვესტორების დაინტერესების ხარისხი.

ასტანისა და ტაშკენტის პოლიტიკური დაპირისპირება გამწვავდა აგრეთვე ორი ქვეყნის ურთიერთპრეტენზიებით ერთმანეთის მიმართ. საკითხი შეეხება სასაზღვრო პრობლემებსაც, წყლის რესურსებსაც და მიგრაციის პრობლემასაც. ყაზახეთ-უზბეკეთის საზღვრის მონაკვეთის დელიმიტაცია მიმდინარეობდა მეტად დაძაბულად, ვინაიდან უზბეკეთის მხარეს ჰქონდა ტერიტორიული პრეტენზიები მეზობელთან. წყლის რესურსების პრობლემა დღემდე აღელვებს ორივე ქვეყნის მთავრობას და არის ყაზახეთის რეგიონში პერიოდული ცეცხლის შეკეთების მიზეზი.

სხვათა შორის, 2000 წლების შუა პერიოდიდან, სიტუაციამ ცვლილება დაიწყო – რეგიონში ლიდერობა თანდათან გადავიდა ასტანის ხელში. საიდუმლო როდია, რომ ყაზახეთი არის რეგიონალური ინტეგრაციის იდეის ინიციატორი როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროებში. ასტანის პოლიტიკური მრავალპოლარულობა საშუალებას აძლევს მის ხელისუფლებას, წარმატებით განახორციელოს მანერები ამ რეგიონში დიდი სახელმწიფოების ინტერესების საზღვარზე.


ნურსულთან ნაზარბაევი და ისლამ კარიმოვი

2001 წელს ინიციატივა ხელში იგდო უზბეკეთმა – 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ სწორედ ტაშკენტმა, პირველმა ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა შორის, წამოაყენა წინადადება, გამოიყენონ თავისი ტერიტორია ანტიტერორისტული კოალიციის ბაზირებისთვის. და ამის გამო იყო რომ კოალიციის სახელმწიფოების მიერ იგი განიხილებოდა არა მხოლოდ როგორც მოკავშირე, არამედ როგორც რეგიონის პოლიტიკური ლიდერიც.

უნდა გავითვალისწინოთ, ცენტრალური აზიის რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობა მთლიანად. ცენტრალური აზია – ეს ევრაზიის კონტინენტის გულია, ამიტომ უშიშროებისა და სტაბილურობის დაცვასა და განმტკიცებას ამ რეგიონში აქვს მეტად დიდი მნიშვნელოვნელობა უშიშროებისათვისაც მთელს მსოფლიოში. სწორედ ამიტომ აქ მდებარე სახელმწიფოებისთვის მეტად ხელსაყრელია, ითვლებოდეს რეგიონულ ლიდერად, ვისი ხელშეწყობითაც განვითარდება სტრატეგიული პარტნიორობა სტაბილურობით დაინტერესებულ მსოფლიოს სახელმწიფოებთან. უწინარეს ყოვლისა, საკითხი შეეხება რუსეთს, ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

არსებითად, გასული ათწლეულის დიდმა ნაწილმა გაიარა უზბეკეთის ლიდერობის ეგიდით, რომელსაც მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატები. ყაზახეთმა ამ პერიოდში აირჩია რუსეთთან (როგორც სტრატეგიულ და ეკონომიკურ პარტნიორთანძ და ჩინეთთან დაახლოების გზა, თანამშრომლობდა მათთან მთელ რიგ რეგიონალურ ინტეგრაციულ გაერთიანებებში.

დღეს ტაშკენტი კვლავ ცდილობს, განიმტკიცოს ძლიერი პოზიციები ცენტრალური აზიის რეგიონში. ტაშკენტისთვის ამის გაკეთება დღეს რთულია. უზბეკეთმა, მიუხედავად ზოგიერთი წინსვლისა უკანასკნელ პერიოდში, აირჩია საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის პასიური პოზიცია, ჯერ ისევ ჩაკეტილია საგარეო პარტნიორობის თვალსაზრისით და არ სურს, მოახდინოს ინტეგრირება თურქულ სამყაროსთან.

სხვათა შორის, მიუხედავად ასტანასა და ტაშკენტს შორის რთული ორმხრივი ურთიერთობისა და სხვადასხვა პოზიციისა მსოფლიო დონეზე, ორივე სახელმწიფოს აერთიანებს მთავარი – მისწრაფება უზრუნველყონ რეგიონში უშიშროება. მით უმეტეს, რომ უკანასკნელი წლების მოვლენები გვიჩვენებენ – სტაბილურობის საფრთხე იზრდება.

საკითხი შეეხება, უწინარეს ყოვლისა, ისლამური რადიკალიზმის საფრთხეს.

როგორც ცნობილია, უზბეკეთისა და ყირგიზეთის სასაზღვრო ტერიტორიებზე მრავალი წლის განმავლობაში მოქმედებდა ეგრეთ წოდებული უზბეკეთის ისლამური მოძრაობა. და ტაშკენტმა საკმაოდ წარმატებით შეძლო საფრთხის ლოკალიზება ამ მოძრაობის მხრიდან, რაც იქცა მიზნად ააგონ ხალიფატი ცენტრალური აზიის ქვეყნის ტერიტორიაზე. მრავალი წელია ტაშკენტი და ასტანა აწარმოებენ ნაყოფიერ თანამშრომლობას, რათა დაუპირისპირდნენ ნარკოტრაფიკს ავღანეთიდან.

არსებითად, ყაზახეთსაც და უზბეკეთსაც, მიუხედავად არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, შესანიშნავად ესმით, რომ ევრაზიის ცენტრში ყოფნით, არიან დამაკავშირებელი რგოლი ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მაღალგანვითარებულ რეგიონებს შორის. სწორედ ამიტომ ორივე მხარე ყოველმხრივ ცდილობს, განამტკიცოს თანამშრომლობა ყველა სფეროში.

ყაზახეთისა და უზბეკეთის თანამშრომლობის ხარისხობრივად ახალი ეტაპის დასაწყისად იქცა ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრები 2006 წელს. მაშინ გადაწყდა, რომ შემდგომი თანამშრომლობის ყველა საკითხი განიხილონ სახელმწიფოთაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში ორი პრეზიდენტის პატრონაჟის ქვეშ.

ურთიერთობას ახალი იმპულსი მიანიჭა უზბეკეთის პრეზიდენტის ისლამ კარიმოვის ოფიციალურმა ვიზიტმა ყაზახეთში 2008 წელს (ასტანაში 20 წლის განმავლობაში კარიმოვის უკანასკნელი ხუთი ვიზიტიდანძ. მაშინ ორი სახელმწიფოს ლიდერებმა აღნიშნეს თავიანთი ქვეყნების მზადყოფნა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. მაგრამ მთავარი იყო – სიახლოვე და პოზიციებისა და მიდგომების თანხვედრა რეგიონალური და საერთაშორისო პოლიტიკის ყველა პრინციპულ საკითხში.

ყაზახეთის პრეზიდენტის ტაშკენტში უკანასკნელი ვიზიტის დროს ისლამ კარიმოვმა განაცხადა: „ჩვენ ვართ სტრატეგიული მოკავშირეები პრაქტიკულად ყველა საკითხში“. ნურსულთან ნაზარბაევმა, თავის მხრივ, აღნიშნა: „ყაზახეთისთვის უზბეკეთი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორი ცენტრალურ აზიაში... ყაზახეთის წარმატებები – ეს უზბეკეთის წარმატებებია ისევე, როგორც უზბეკეთის წარმატებები – ეს ყაზახეთის წარმატებებია. სწორედ ასეთ პრინციპზე გვინდა ჩვენ ავაგოთ ჩვენი ურთიერთობანი“.

დღეს უზბეკეთი და ყაზახეთი წარმატებით თანამშრომლობენ რეგიონალური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხებში, არიან შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის, ტერორიზმის, პოლიტიკური და რელიგიური ექსტრემიზმის, ტრანსეროვნულ ორგანიზაციულ დანაშაულებათა და სტაბილურობისა და უსაფრთხოების სხვა საფრთხეთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი მოქმედების ხელშეკრულების წევრი. თანამშრომლობის უკანასკნელი მიმართულებანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. როგორც ნაზარბაევმა აღნიშნა, „ახლა, როგორც არასოდეს, დიდი მნიშვნელობა აქვს, არ დავუშვათ ფრაგმენტაცია და დაქსაქსულობა ჩვენს რეგიონში. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პირადი და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის სერიოზული დინამიკის გარეშე რეგიონი ვერ შეძლებს, გააერთიანოს ძალები განვითარებისა და აყვავებისთვის“.

კარიმოვმა მაშინ მხარი დაუჭირა თავის ყაზახელ კოლეგას: „ჩვენი აზრით თანამშრომლობა ამ მიმართულებით ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია რეგიონალური სტაბილურობისა და მყარი განვითარების ძლიერი სისტემის ჩამოყალიბებაში“.

სექტემბრის დასაწყისში გაიმართება ისლამ კარიმოვის ოფიციალური ვიზიტი ასტანაში. ვარაუდობენ, რომ ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის საკითხი რეგიონალური უზრუნველყოფის საქმეში მოლაპარაკების პერიოდში მიიღებს ლიდერის პოზიციას. ისევე როგორც ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც იქცნენ ბაზად თანამშრომლობის გაღრმავებისთვის პოლიტიკურ სიბრტყეზე.

სიმონ წივწივაძე

## დედამიწის ზურგზე



### „ხასბულახის“ ლიდერი აშშ-ს აშინებს: ირანზე ისრაელის დარტყმა ამერიკელებს ძვირად დაუჯდებათ

„ხასბულახის“ დაჯგუფების ლიდერმა ჰასან ნასრალამ ასეთი სცენარის შესახებ ირანის ხელმძღვანელობისგან გაიგო. ამერიკის შეერთებული შტატების ბაზებს თავს დაესხმებიან იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკელები პირდაპირ არ მიიღებენ მონაწილეობას კონფლიქტში. ამ დროს დარტყმები ისრაელზე განხორციელდება, ალბათ, ბირთვულ ობიექტებზე – რათა თავიდან იქნეს აცილებული ქიმიური იარაღი, განმარტა დაჯგუფების ლიდერმა.

### მამაკაცებისა და ქალების თვალები სამყაროს სხვადასხვაგვარად უმზერენ, და ყოველივე ამის მიზეზი ტვინია, განმარტეს მეცნიერებმა

მოწყობილი ექსპერიმენტების შედეგად გაირკვა, რომ ქალები გაცილებით უკეთ განარჩევენ ფერებს. ამას გარდა შესანიშნავი სქესის წარმომდგენლებს ასევე აქვთ უკეთესი სმენა, გაცილებით უკეთესი გრძნობა გემოვნებისა და სუნისა. მამაკაცებს კი შეუძლიათ აღმოაჩინონ მოძრავი ობიექტების წვრილი დეტალები.



### მადაგასკარელმა გლეხებმა ქვებითა და ისრებით დასაჯეს პირუტყვის გამტაცებლები, დახოცეს დაახლოებით 90 კაცი

ცხოველთა გამტაცებლებსა და სოფლის მოსახლეობას შორის შეტაკება დაიწყო 1 სექტემბრის ღამით, როდესაც შეიარაღებულმა ბანდიტებმა ქალაქ ბერტრუკიდან გაიტაცეს ათასობით სული პირუტყვი. საპასუხოდ ადგილობრივი მცხოვრებლები გამოეკიდნენ მათ და დახოცეს ბოროტმოქმედები, ზოგი მათგანი მოკლეს ქვებით, დანარჩენები – ცივი იარაღით.

### ნორვეგიის პოლიციამ შეწყვიტა ბრეივიკის სავარაუდო თანამზრახველების ძიება

ოსლოს პოლიციის წარმომადგენლის კრისტიან ხალტუს სიტყვებით, ტერორისტის საქმესთან დაკავშირებით ყველაფერი აუცილებელი გაკეთდა. „არა ვფიქრობ, რომ მივიღებთ კიდევ სხვა რაიმე ზომებს. ჩვენ მივიღეთ სასამართლოს მხარდაჭერა, რომ „ტამპლიერების რაინდის“ ორდენი არ არსებობს, და ამიტომ ვერ ვხედავთ მიზეზებს გავაგრძელოთ ამ ორგანიზაციის უჯრედების ძიება“, – თქვა მან.



# ლევან მინდიაშვილი: ძიების პროცესი დაუსრულებელია

წინა ცხოვრებაში ადრეული ბავშვობიდან ხატვის სიყვარული, დაუმთავრებელი სამხატვრო ათწლედი და სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე სწავლის ოცნება დარჩა. ათწლედიც იმისთვის მიატოვა, რომ აკადემიის გამოცდებისთვის სამზადისში ხელი არ შეშლოდა. უთხრეს, ფერწერაზე პირველსავე მცდელობისას ვერ ჩააბარებ, ამდენი ადგილი იქ არ არის, სხვა ფაკულტეტზე სცადე და იქნებ იქიდან ფარწერაზე გადახვიდეო. ასე მოხვდა ქანდაკების ფაკულტეტზე, რომელსაც ბოლომდე შერჩა. როგორც თავად ამბობს, ყოველთვის აინტერსებდა სხვადასხვა დისციპლინებისა და გამოცდილებების სინთეზი, აკადემიაში კი, სამწუხაროდ, ამის სწავლის საშუალება არ იყო. მოგვიანებით, გერმანიაში მოგზაურობამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ მხოლოდ ერთი მედია მისი თვითგამოხატვისთვის საკმარისი ვერ იქნებოდა. საჭირო იყო – მულტიმედია. მისი ნახატები გაჩნდა სომხეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, ამერიკისა და არგენტინის საგამოფენო დარბაზებში. კერძო კოლექციების გეოგრაფია კი უფრო დიდია ...

ჩემთვის ძნელია ისეთ ცნებაზე საუბარი, როგორიცაა „სამშობლო“ – ამბობს **ლევან მინდიაშვილი.** – დღეს, როცა დროისა და სივრცის აბსოლუტურად ახალ განზომილებაში ვცხოვრობთ, ცოტა რთულია კონკრეტულ გეოგრაფიულ „მიკუთვნილობაზე“ საუბარი, რადგანაც ის ჩვენი სურვილისდა მიუხედავად, მაინც იჩენს თავს, მით უფრო შემოქმედებაში. ეთნიკურ-ისტორიული გამოცდილება კი უფრო ამდიდრებს და ინდივიდის შემოქმედებას უფრო საინტერესოს ხდის. უბრალოდ მას უფრო მეტი ზომიერებითა და სიფრთხილით მოპყრობა სჭირდება.

**– რამდენად ახლო იყო თქვენთვის მულტიმედიური ცხოვრების ხელოვნება? თუმცა ემიგრაციაც ხომ ერთგვარი მულტიმედიაა.**

– ჩემს გარშემო ყველაფერმა, მათ შორის ცნებამ „ემიგრაცია“ საკმაოდ დიდი ცვლილება განიცადა და, ბუნებრივია, ძნელია იმავე ტერმინებითა და შეფასების კრიტერიუმით ვისაუბროთ, რომელსაც თუნდაც 10 წლის წინ ვიყენებდით. მითუმეტეს დღეს, როცა ემიგრაცია ყოველდღიურობის ატრიბუტად გადაიქცა. ჩემის აზრით – და ვიცი რომ მხოლოდ მე არ ვფიქრობ ასე – მხოლოდ კულტურული თუ ინტელექტუალური „გაცვლის“ საფუძველზეა შესაძლებელი საგნებისადმი უფრო გლობალური ხედვის ჩამოყალიბება. რომ არაფერი ვთქვათ თავად ინდივიდის პიროვნულ განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე. ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება და მოგზაურობა საკუთარი იდენტობის ძიების პროცესია. სწორედ ამიტომაც არგენტინაში ჩასვლისას ეს იყო ჩემი მხატვრული ძიებებისა და ანალიზის თემა, ბუენოს აირესის ხელოვნების უნივერსიტეტში კი სწორედ ეს გახდა ჩემი საკურსო მასტერისა და სადიპლომოს თემაც: “ტრანსმიგრანტები“ (ამაზე უფრო დეტალურად უფრო ქვემოთ ვისაუბროთძ.

პირადად ჩემთვის, ჯერ კიდევ 2003 წლიდან, როცა გერმანიაში პირველად შედგა ჩვენი გამოფენა – (ტატო ახალკაციშვილი, ირაკლი ბუგიანიშვილი, მახო დათაშვილი და მეძ, მაშინ „ფიგურატიული ხელოვნების სტუდიო“ ვიყავით, 2006 წლამდე ერთად ვმუშაობდით და ვეფინებოდით. როცა ევროპაშიც მოგზაურობა აქტიურად დავიწყე, ნათელი გახდა, რომ შეჩვეულ კულტურულ/სოციალური სქემებისგან შორს, ახალ, განსხვავებულ გარემოში უფრო ნათლად აღვიქვამდი ჩემ თავს და უკეთესად ვეცნობოდი.

**– ერთ-ერთი თქვენი პერფორმანსი სისხლიანი და ხმლიანია და რაღაცით მარინა აბრამოვიჩი გამახსენა...**

– ეს ჩემი პირველი პერფორმანსია, რომლის სათაურია „მეომარი – ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო“ და ის რუსეთ-საქართველოს ომის გამოძახილია. არგენტინაში სულ რაღაც ოთხი თვის ჩასული ვიყავი, ომი რომ დაიწყო და ასე შორს მყოფი, თავს საშინლად უსუსურად ვგრძნობდი. შერეული, ბუნდოვანი რეაქცია გამიჩნდა ამ ყველაფერთან მიმართებაში. ის პერიოდი ისედაც ბევრს ვფიქრობდი ქართულ იდენტობასა და წარსულზე და ომმა კიდევ ერთხელ დამანახა, რომ, სამწუხაროდ, ჩვენი რეალობა დიდად არ განსხვავდებოდა საუკუნეების წინანდლისგან. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ფიზიკურად სისხლით უნდა გვებრძოლა ყველაფრისთვის. ირანის ომის კადრებიც ჯერ კიდევ ძალიან ცოცხალი იყო ჩემთვის და კიდევ ერთხელ დავფიქრდი იმაზე, თუ მიუხედავად „რეგრესისა“ და „ჰუმანურობისა“, ჯერ კიდევ რამდენად ძლიერია „მეომრის“ – სისხლიანი სუპერგმირის ფეტიშიზმი ჩვენს ცნობიერებაში. ამას, რა თქმა უნდა, გლობალურად ვგულისხმობ. პერფორმანსზე ფიქრისას ბუნებრივად ამომიტივტივდა მარინა აბრამოვიჩის ვენეციის ბიენალესთვის გაკეთებული პერფორმანსი „ბალკანური ბაროკო“, სადაც არტისტი სისხლიანი ძვლების ბორცვზე იდგა და მათ სათითაოდ რეცხავდა. მარინამ იმ პერფორმანსით ბოსნიის ომი გააკრიტიკა. გადავწყვიტე, ჩემი პერფორმანსით ერთგვარი ხიდი გამევლო მარინას ნამუშევართან და კითხვაც დამესვა ხმამაღლა: „ბალკანური ბაროკოს“ შექმნიდან 11 წლის შემდეგ ადამიანთა ცნობიერებაში შეიცვალა კი რამე? თუ ისევ სისხლიან ფეტიშიზმს მივდევთ? პერფორმანსი ბუენოს აირესში პერფორმანსის საერთაშორისო სიმპოზიუმზე შევასრულე და მისი ვიდეოვერსიაც „საზღვარი – თავი 1“-ის ნაწილი გახდა. ფოტო ამ პერფორმანსიდან ჟურნალ ანაბეჭდის ომისადმი მიძღვნილ ნომერშიც დაიბეჭდა.

**– რატომ არგენტინა?**

– ამ კითხვას თავად არგენტინელებიც ხშირად მისვამენ. ყველაფერი 2007 წელს ვენეციის ბიენალეზე დაიწყო, როცა ლათინური ამერიკის ხელოვნებაზე ალაპარაკდნენ. ამ ქვეყნის ხელოვანებს სპეციალური პავილიონი დაუთმეს, ხოლო არგენტინელი არტისტი ლეონ ფერარი ოქროს ლომით დააჯილდოვეს. ამ ახალმა სივრცემ ყველას ყურადღება ერთბაშად მიიპყრო. ეს იყო რაღაც ახალი... მას პარგად ჯერ კიდევ არავინ იცნობდა. იქ, ლათინურ ამერიკაში რაღაც ახალი და განსაკუთრებული ხდებოდა... იმ პერიოდში მეც, ევროპაში მოგზაურობის ოთხწლიანი გამოცდილების შემდეგ, გარკვეულწილად კრიზისში ვიყავი. ძირითადად ეს ეხებოდა ჩემს პირად არტისტულ ინტერესებს. თან ვგრძნობდი, რომ მჭირდებოდა სხვაგან გამგზავრება, სხვაგან ცხოვრება. თუნდაც ცოტა ხნით. არა მხოლოდ ხელოვნებისთვის, არამედ უბრალოდ, ცხოვრებისთვის და რაღაც ახლის კეთება. ლათინური ამერიკის არტსცენის ძიება ინტერნეტით დავიწყე და უცებ არგენტინითა და ბუენოს აირესით მოვიხიბლე. საბუთები ბუენოს აირესის სახელოვნებო უნივერსიტეტის მულტიმედიური პროექტების მასტერზე შევიტანე და მიმიღეს. თბილისში ცოტაოდენი ფული შევაგროვე და არგენტინას გავემგზავრე. იქ ოთხი წელი ვიცხოვრე და ჩემს ცხოვრებაში ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი გავვლე, როგორც ადამიანმა და როგორც მხატვარმა.



**– მეორე სახლი... თუ მესამე? კიდევ იქნება?...**

– ბუენოს აირესსა და მის ხალხს განსაკუთრებული ხიბლი აქვს. დიდი, ხმაურიანი, კოსმოპოლიტური ქალაქია, რომელშიც ძველი ევროპული არქიტექტურა და თანამედროვე შუშის ცათამბჯენების ეგზოტიკა ჰარმონიულად თანაარსებობს. აქ ყველაზე მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებები და აბსოლუტურად განუკითხველი, ლიბერალური მენტალიტეტია. არგენტინელები თბილი, ყურადღებიანი და უშუალო ხალხია, ადვილად გიმეგობრდებიან და ამის გამო თავს საკუთარ სახლში გრძნობ. მათ ხელოვნება ძალიან უყვართ და აინტერესებთ, ვინაიდან ჯერ კიდევ არაა გამაგრებული ლოკალური არტბაზარი, უფრო მეტი კრეატიული თავისუფლებაა და ექსპერიმენტისთვის უფრო გახსნილიცაა.

მესამე სახლი, ალბათ, ნიუ იორკია. ეს ცალკე სასაუბრო თემაა– სხვა ჰორიზონტები და სხვა სიმაღლეები.

**– თქვენ ნიუ იორკშიც გქონდათ გამოფენა.**

– დიახ. სანამ ნიუ იორკში ჩამოვიდოდი, შტატებში მქონდა ორი გამოფენა.



ბუენოს აირესის გალერეამ NES ჩემი ნამუშევრები 2008 წელს მაიამიში ART BASEL-ზე გამოფინა. შემდეგ კი 2011-ში – ნიუ იორკის AFFORDABLE ART FAIR-ზე. ეს არტბაზარი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ დაიბადა, მისი ორგანიზატორების იდეაა ხელოვნების საყოველთაო ხელმისაწვდომობა. აქ ფასების ლიმიტია დაწესებული, რათა კრიზისმა პოტენციური მყიდველები და კოლექციონერები არ შეაფერხოს. პროექტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მას უკვე წელიწადში ორჯერ ატარებენ: გაზაფხულსა და შემოდგომაზე. იგი განა მხოლოდ ნიუ იორკში ტარდება, არამედ ლოს ანჯელესში, ლონდონში, პარიზში, სიდნეიში, სინგაპურში, ამსტერდამში, ბრიუსელში, მილანში და ევროპის კიდევ სხვა რამდენიმე ქალაქში. გამოფენა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

მას შემდეგ კი, რაც ნიუ იორკში ვარ, ორი ჯგუფური გამოფენა მქონდა: ბიოარტ – ლივინგ გალერიში და MAN/kind – 32 ჯოუნს გალერიში. უტა ბექაიასთან ერთად BUSHWICK OPEN STUDIOS ფარგლებში მონაწილეობა მივიღე არტლინისძიებაში, რომელიც წელს მეექვსედ ჩატარდა და რეკორდული რიცხვი 560-მდე გალერეა, სტუდიო და არტსივრცე მოიცვა. შემდეგი პროექტია FOUNTAIN ART FAIR, ART BASEL MIAMI-ს ფარგლებში ამ წლის დეკემბერში, მაიამიში.

**– ბუენოს აირესში კურატორად მუშაობდით. ეს უფრო სამსახური იყო თუ კრეატიული ინტერესი?**

– სულ ვამბობ, რომ იღბლიანი ადამიანი ვარ, რადგან ჩემი კარიერის განმავლობაში ჩემს პროფესიასთან დაუკავშირებელი საქმიანობით არ დავკავებულვარ. ყველაფერი ხელოვნებას ეხებოდა. მართალი გითხრათ, მხატვრობის გარდა თავად გამოფენების მოწყობა, ანუ ორგანიზებაც ყოველთვის მაინტერესებდა. სამი წელიწადი ბუენოს აირესში ერთ-ერთ გალერეაში კურატორად ვმუშაობდი. ჩემი აზრით, ეს ძალიან კრეატიული პროცესია, რადგან პროექტის საბოლოო სახე კურატორზეა დამოკიდებული, ანუ იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მას ჩაფიქრებული კონცეპტის ვიზუალიზაცია. ამავე დროს, ყოველთვის მომწონდა გუნდური პროექტები, სადაც ინტენსიური ინტერაქტივია. ის, რასაც აკეთებ, მრავალ ასპექტს სწორედ განსხვავებული შეხედულებების გამო იძენს. ამ დროს ადამიანის მზერა უფრო კრიტიკულია და ობიექტური, რაც შემდეგ თავისივე პროექტების განხორციელებაში შეიძლება დაეხმაროს.

**– როგორც ვიცი, შარშან თქვენი და დიზაინერ უტა ბექაიას ტანდემის პრემიერა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.**

– შარშან უტა ბექაიასთან თანამშრომლობა ბუენოს აირესში მულტიმედია პერფორმანსით „ფერომონი“ დაიწყო, რომელსაც ნამდვილად ბევრი პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა. შემდეგ ჩვენ ტანსაცმლის ბრენდი Uta Levan დავაარსეთ, ხოლო მისი პრეზენტაცია თბილისში შარშანდელ „ფეშენ უიქზე“ მოხდა. ჩვენი იდეა მაღალი მოდისა და pret- a – portes, ხელოვნებისა და ყოველდღიურობის სინთეზი გახლდათ. ტანსაცმელი მხოლოდ ხელით იკერება, რადგან გვინდა, რომ თითოეულმა ჩვენმა კლიენტმა იცოდეს, რომ მას განსაკუთრებული, უნიკალური ნამუშევარი აქვს. თუმცა ახლა Uta Levan გასცდა მოდას. ის უფრო კრეატიული გახდა და ხელოვნების ყველაზე ფართო სპექტრს მოიცავს. წლევანდელ ტორონტოს „ფეშენ უიქზეც“ სწორედ ფეშენ არტინსტალაციით წარვსდექით.

**– თქვენი რამდენიმე ეპიზოდი ბუენოს აირესის ცხოვრებიდან...**

– ყველაზე ლამაზად იქ ცხოვრების ბოლო წელი მახსენდება, როცა ცხოვრება რეალურად დამოუკიდებლად დავიწყე, ანუ ცალკე ბინაში გადავედი, სადაც სახელოსნოც მქონდა. იგი ზუსტად ჩემი სამსახურის უკან მდებარე ქუჩაზე იყო, ბუენოს აირესის ისტორიულ უბანში – სან ტელმოში. ადრე იგი თავისი ისტორიული ღირებულების მიუხედავად, პოპულარული უბანი არ გახლდათ და მხოლოდ ბოლო ხუთი წელია, რაც ადამიანების მოზიდვა დაწყო. დღეს სან-ტელმო არა მარტო არგენტინელ ხელოვანებს იზიდავს, არამედ – მთელი მსოფლიოდანაც, რაც მას საკმაოდ ბოჰემურ და ახალგაზრდულ იერს აძლევს. ქუჩაში გამოდიხარ და ყველას იცნობ – ბარმენებიდან დაწყებული მეაფთიაქემდე; მერე გზაში პატარა წიგნების მაღაზიის მფლობელი შეგხვდება და გაგახარებს სიტყვებით: შენ რომ ეძებდი, სწორედ ის წიგნი მივიღეო. შემდეგ კი აუცილებლად შეხვდები რომელიმე მეგობარს, რომელიც წლების მანძილზე არ გინახავს... არადა, ახლა თურმე შენი სახლის კუთხეში ცხოვრობს...




**ია მერკვილაძე,**
**ჩვენი საკ. კორ. ნიუ იორკი, აშშ**

ჭადრაკი

# ლიდერებს კვალში უდგანან

**სტამბოლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მე-6 ტური საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის იღბლიანი აღმოჩნდა. ეტყობა, ერთდღიანი შესვენება ჩვენებმა მე-**



**ტოქეებთან საპაექროდ უკეთ გამოიყენეს. ქალები სლოვაკებს დაუპირისპირდნენ და 2,5:1,5 გაიმარჯვეს: ბელა ხოტენაშვილმა და ნინო ხურციძემ, შესაბამისად, რეგინა პოკორნასა და იულია კოჩეტკოვას აჯობეს, ნანა ძაგნიძე ზუზანა ბოროსოვას შეუთანხმდა ყაიმზე, ნაკრების დებიუტანტმა ნინო ბაციაშვილმა ალიონა მრვოვასთან დათმო პარტია.** ამ წარმატებით ქართველმა მანდილოსნებმა უშუალო კონკურენტ რუსეთის ეროვნულ გუნდთან სხვაობა ქულამდე შეამცირეს. რადგან მე-6 ტურში ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ჩინელებს დაუზავდნენ: ჰოუ იფანი – ტატიანა კოსინცევა 1:0, ნადეჟდა კოსინცევა – ჟაო სიუ 1:0, ცზიუ ვენძიუნი – ალექსანდრა კოსტენიუკი 0,5:0,5, ნატალია პოგონინა – ჰუან ქიანი 0,5:0,5. 6 ტურის შემდეგ რუსებს 11 ქულა აქვთ. მათ გაუთანაბრდნენ პოლონელები, რომლებმაც სერბები დაამარცხეს 3,5:0,5. ლიდერებს თითო ქულით, ქართველების მსგავსად, ჩინელები, ფრანგები, უკრაინელები და ვიეტნამელები ჩამორჩებიან.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა კოლუმბიის გუნდს აჯობა 3,5:0,5. მერაბ გაგუნაშვილი – ალექსანდერ კუარტასი 0,5:0,5, თორნიკე სანიკიძე – ალონსო ზაპატა 1:0, ლევან ფანცულაია – ალდერ ესკობარი 1:0, კონსტანტინე შანავა – სერხიო ბარიენტოსი 1:0. დანარჩენი მატჩები: რუსეთი – სომხეთი 2:2 (ვლადიმირ კრამნიკი – ლევონ არონიანი 1:0, სერგეი მოვსესიანი – ალექსანდრ გრიშჩუკი 1:0, სერგეი კარიაკინი – ვლადიმერ აკოფიანი 0,5:0,5, გაბრიელ სარქისიანი – დმიტრი იაკოვენკო (0,5:0,5ძ. აზერბაიჯანი – ხორვატეთი 3:1, გერმანია – აშშ 2:2, ჩეხეთი – ესპანეთი 1,5:2,5, ჩერნოგორია – უკრაინა 1:3, ფილიპინები – ბულგარეთი 2,5:1,5, ბოსნია – ჩინეთი 0,5:3,5, ექვსი ტურის შემდეგ: რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი – 11-11, ჩინეთი, ფილიპინები, უკრაინა, უნგრეთი, ესპანეთი – 10-10 ქულა. 15-მა გუნდემა, მათ შორის საქართველომ, 9-9 ქულას მოუყარა თავი.

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

# ქართველები ევროპულ კორტებზე

**ბევრი კონტინენტის რიგ ქვეყნებში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებები. ჰოლანდიური ალფენა 25.000-დან ტურნირს მასპინძლობს: საკვალიფიკაციო ეტაპზე სოფიო ქვაცაბაიამ ჩეხი ლენკა კუნჩიკოვა (6:2, 6:1), რუსი კსენია კირილოვა (7:6, 6:4) დაამარცხა და ძირითად ბადეში მე-2 ნომრად განთესილ მიჰაელა ბუზარენკუს (რუმინეთი) შეხვდება. გერმანიასა და ჰოლანდიაში ზედიზედ სამი ტურნირის მომგები ეკატერინე გორგოძე საკვალიფიკაციოს სტარტზევე კატარჟინა პიტერთან (პოლონეთი) დამარცხდა – 4:6, 3:6. ძირითად ბადეში კი მაკა ჩახნაშვილმა მასპინძელ ჩაინე ემიკთან წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა.**

ანტალიის (თურქეთი) 10.000-იან ტურნირში ჩაება თამარ ჭალაგანიძე. საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენებურ ჩეხ ნიკოლა პორაკოვსკასთან დამარცხდა – 4:6, 3:6, არადა, ერთი კვირის წინათ ჭალაგანიძემ ჩეხს გაზიანთეფის ტურნირზე სძლია. ანტალიაში ითამაშებს ანი



გოგვაძე – სტარტზე ტაივანელ თინგ-ფეი იუანს დაუპირისპირდება, წყვილებში კი ბერძენ დესპინა ვოგარასთან ერთად მე-2 ნომრად განთესილ დიანა ისაევას (რუსეთი) და ზალინა ხაირუდინოვას (ყაზახეთი) დუეტთან გაარკვევს ურთიერთობას.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# ახალი კაპიტნითა და საკადრო პრობლემებით




**გუშინ სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ საწვრთნელი შეკრება დაიწყო საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა. მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში „ჯვაროსნები“ საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი ორი საშინაო მატჩისთვის მოემზადებიან.**

შეკრების დაწყებისთანავე ნაკრების თავკაცმა თემურ ქეცბაიამ ტრადიციული პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

„ნაკრები ახალ შესარჩევ ციკლს იწყებს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი რთული ჯგუფი ჯერ არასდროს გვყოლია, თუმცა, ამ შესარჩევ ციკლში ჩვენ ჩვენი მიზნები გვაქვს. კონკრეტული მიზანი კი, ყველა თამაშში მაქსიმუმის მიღწევაა.

მინდა, ყველამ კარგად გაიგოს, რომ ამ ეტაპზე ჩვენი უპირველესი საფიქრალი 7 სექტემბერს ბელარუსთან მატჩია. სეზონის კარგად დაწყება ძალიან მნიშვნელოვანია და 7 სექტემბრის მატჩში ჩვენ სწორედ ამას შევეცდებით. ეს გუნდი ჩვენი უშუალო კონკურენტია.

გვინდა, ახალი ციკლი გარკვეული სიახლეებით დავიწყოთ. ამიერიდან გუნდს ჯაბა კანკავა უკაპიტნებს. ის გამოცდილი ფეხბურთელია, დიდი ხანია ნაკრებში თამაშობს და ეს გადაწყვეტილება ჩვენ გუნდთან ერთად მივიღეთ.

აქვე, გეტყვით გუნდის შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებაც. ტრავმირებული ნუკრი რევიშვილისა და დავით დევდარიანის ნაცვლად შეკრებაზე ომარ მიგინეიშვილი და ჯაბა დვალი გამოვიძახეთ. მათე ვაწაძემ კი დანიურ „ორჰუსთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი და ჩამოსვლას ვერ ახერხებს. მინდა მივულოცო ახალ გუნდში გადასვლა და წარმატებები ვუსურვო. მის ნაცვლად, „ზესტაფონიდან“ თორნიკე გორგიაშვილს ვუხმეთ. რაც შეეხება დევდარიანს, ის ჩამოვიდა, ბაზაზეც მოვიდა და ექიმებთანაც გაიარა კონსულტაცია. სამწუხაროდ, ტრავმის ხასიათიდან გამომდინარე, მისი თამაში გამორიცხულია“ – განაცხადა ქეცბაიამ.

რომ იტყვიან, გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ისე დაემართა ჩვენს გუნდსაც, რადგან ბარძაყის ტრავმის გამო ჯაბა დვალის თამაშიც გამოირიცხა.

რაგბი

# ათეული აღმართს შეუდგა

**ქართველმა მორაგბეებმა ეროვნული ჩემპიონატი დაიწყეს. შეჯიბრებაში, წინა სეზონისაგან განსხვავებით, 10 გუნდი ჩაება – შარშანდელ რვიანს პირველლიგელი „ბათუმი“ და „ჯიქი“ დაემატნენ. ჩემპიონატის გამართვის ფორმატიც შეიცვალა – შემოდგომით დაიწყო და 2013 წლის გაზაფხულზე დასრულდება, ზამთარში შეისვენებენ, ანუ ყველაფერი გაკეთდება ისე, როგორც ევროპის წამყვან სარაგბო ქვეყნებშია.**

პირველობის სტარტზე ქვეყნის ჩემპიონმა „არმიამ“ დებიუტანტი „ჯიქი“ დაამარცხა და პრემიალური ქულაც დაიმატა. მსგავს წარმატებას მიაღწია „ლელომაც“, რომელმაც მშრალი ანგარიშით აჯობა „აკადემიას“ – 25:0. დანარჩენ სამ შეხვედრაში ფავორიტებმა იმარჯვეს: „არმაზი“ – „ხარები“ 20:7, „აია“ – „ბათუმი“ 13:3, „ლოკომოტივი“ – „ყოჩები“ 28:12.

**გივი გაგუა**




თაობა

# ბრძოლაში მოპოვებული ვერცხლი

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა, „Syrenka Cup“- ის გათამაშებაზე პოლონეთის ქალაქ პლოცკში მეორე ადგილი დაიკავა.**

**ფინალური მატჩი, სადაც გიორგი დევდარიანის გუნდის მეტოქე დანიის ნაკრები გახლდათ, პლოცკის ცენტრალურ, „ვისლას“ სტადიონზე გაიმართა.**

შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. პირველ ტაიმში ასპროცენტიანი საგოლე მომენტები არც ერთ გუნდს არ ჰქონია. დამაჯერებლად გამოიყურებოდა მეკარე ოთარ გოშაძე, რომელმაც 2 რთული ბურთის მოგერიება შეძლო. თუმცა, ტაიმის ბოლოს ქართველი ფეხბურთელები გააქტიურდნენ და რამდენიმე გააზრებული კომბინაციაც გაითამაშეს.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა მატჩში გადამწყვეტი მომენტი დადგა – უხეში თამაშისთვის მსაჯმა მოედნიდან ჩვენი გოლკიპერი გააძევა და დევდარიანის გუნდი კაცნაკლული დარჩა.

დანიელებმა უფრო და უფრო მეტად შემოგვიტიეს. თითქოს, მათ კარს საფრთხეც არ ემუქრებოდა, მაგრამ 69-ე წუთზე ბურთისთვის თავდადებით იბრძოლა კერძევაძემ და ნახევრადწაქცეულ მდგომარეობაში, ერთი შეხებით დანიელთა მეკარესთან პირისპირ დატოვა **ლუკა ზარანდია,** რომელიც უკვე საჯარიმოში, წესების დარღვევით შეაჩერეს და მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. პენალტი აუღელვებლად შეასრულა **ზურაბ მალანიამ** და 1:0 დავწინაურდით.

მატჩის გამარჯვებამდე მისაყვანად ოთხიოდე წუთი რჩებოდა, როცა დანიელებმა კუთხურიდან ჩამოწოდებულითა და კრისტენსენის თავურით გაგვითანაბრეს. კიდევ ორიოდ წუთში კი, იმავე




კრისტენსენმა მატჩის დამატებით დროში გადაყვანისა და მოგების ყოველგვარი შანსი მოგვისპო და მეორე გოლიც გაიტანა.

საბოლოოდ დევდარიანის მებრძოლმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა და თასთან ერთად, ტურნირის ორგანიზატორებისგან ვერცხლის მედლებიც მიიღო.

ყველაზე სასიამოვნო ფაქტი კი, რაც დაჯილდოებაზე მოხდა, ჩვენი ნაკრების ნახევარმცველის – **ლუკა ზარანდიას** ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელება იყო.

საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა ამ ტურნირზე მონაწილეობით მშვენიერი რეპეტიცია გაიარა ოქტომბრის ელიტრაუნდის შესარჩევი მატჩების წინ, რომელიც თბილისში გაიმართება და ჩვენი მეტოქეები უკრაინის, ლუქსემბურგისა და შოტლანდიის გუნდები იქნებიან.

დედაქალაქი

# ნაქალაქარი, ნაამაგარი...

**თბილისის წიაღი, ისევე, როგორც მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა უძველესი ქალაქი, მრავალ სანუკვარ ხსოვნას ინახავს, რომელიც თანდათან დღის სინათლეს უბრუნდება.**

ცოტა ხნის წინათ დედაქალაქის ცენტრში, პუშკინის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლების გასამაგრი და საკომუნიკაციო ქსელების ახალი გაყვანილობის სამშენებლო სამუშაოების ჩატარების დროს ძველი ქალაქის გალავნის ნაწილს და რამდენიმე ადამიანის ჩონჩხიან სამარხს მიაგნეს, რომლებშიც საოჯახო და რიტუალური დანიშნულების ნივთებიც ესვენა.







ბუნებრივია, რომ არქეოლოგიური არტეფაქტების მიგნების გამო, ქალაქის ეს მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერია გადაიკეტა და მიწისქვეშა სიძველეების შესწავლას სპეციალისტები შეუდგნენ.

დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, ისტორიული აღმოჩენის ადგილზე ფეხით მოსიარულეთათვის, სავარაუდოდ, ხიდები ან გადასასვლელები გაკეთდება, საიდანაც თბილისის მკვიდრთ და სტუმრებს უძველეს ისტორიასთან „თვალით შეხების“ უნიკალური შესაძლებლობა ექნებათ. ასევე დაგეგმილია იმ მიდამოებში საგანგებო მუზეუმის დაარსება, სადაც სამარხებში ნაპოვნი ნივთები იქნება გამოფენილი.

ესაა პირველი რიგის გასამართ სამუშაოთა მიმართულება, რომელთა პარალელურად მიმდინარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა სახლები გამაგრდება და შეკეთდება, რაც უახლოეს დროში დასრულდება.

---

# „გმირთა მოედნის“ ახალი ბილიკი





**„გმირთა მოედანი“ თბილისის ცენტრში უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძია, რომელზეც მანქანების შეუფერხებელი მოძრაობა მთელი ქალაქის სამანქანო მიმოსვლაზე, განსაკუთრებით პიკის საათებში, უდიდეს ზეგავლენას ახდენს.**

სექტემბრის პირველ დღეებში აქ მეტად მნიშვნელოვანი ახალი სატრანსპორტო არტერია გაიხსნა – ლაპარაკია 251 მეტრის სიგრძის ესტაკადაზე, რომლითაც ვერის უბნის მხრიდან მოძრავი ავტომანქანები და საქალაქო ავტობუსები გაცილებით მოკლე დროში და ნაკლები შეფერხებით მოხვდებიან როგორც საბურთალოს, ასევე სარკინიგზო ვაგზლის მიმართულებით. ახალი გზა ასევე ყოველნაირად მოსახერხებელია ფეხით მოსიარულეთათვის.

კიდევ ერთი ესტაკადა სულ მალე მწყობრში ჩადგება სავაჭრო კომპლექსი „ლაგუნა-ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ასევე სარგრძნობლად განტვირთავს საავტომობილო მოძრაობას.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი**

**რევაზ სირაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი**

**რევაზ სირაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**პროფესორები ლაურა გრიგოლაშვილი, გრივერ ფარულავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი**

**რევაზ სირაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**არმაზ სანებლიძე, ნოდარ ჯობაძე, მანანა, მზია, იზოლდა კობერიძეები ოჯახებით გულითადად თანაუგრძნობენ ლუიზა ჯიბლაშვილს, ეკა და თეკო სუხიშვილებს მეუღლისა და მამის**

**ზაურ სუხიშვილის**

**გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 5 IX, 17 სთ. გამოსვენება 6 IX, 15 სთ. მისამართი: წყნეთის ქ. III კორპუსი.**

---

**გიორგი ნაჭყებია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უახლოეს ნათესავს გრამიტონ კვარაცხელიას გარდაეცვალა მეუღლე**

**ვალიდა კაპიტონის ასული მახარაძე-კვარაცხელიასი**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, ნათესავებს, ახლობლებს.**

---

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის თანამშრომელი, დოქტორი**

**ლელა (ელენე) ცირეკიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---



**საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახური სამძიმარს უცხადებს გულო ჩიქოვანს, მაკა, ნიკა, ლევან ჩხეიძეებს, მარიამ გოგობერიშვილს მეუღლის, მამისა და მამამთილის, ღვაწლმოსილი პიროვნების**

**იუზა ჩხეიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**მარინა ენუქიძე, თემურ გაგნიძე ოჯახით იუწყებიან მეგობრის, ბრწყინვალე პიროვნების**

**იუზა ჩხეიძის**

**გარდაცვალებას.**

---

**აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების მუზეუმის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან და სამძიმარს უცხადებენ საჩხერის კულტურის სამსახურის უფროსს ლევან ჩხეიძეს მამის**

**იუზა ჩხეიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

წკეპლიკა

# რა მანძილია სიყვარულიდან (ბოდიშს ვიხდი!) სიმყრალემდე?..

**ასეთი პლაკატი უკვე ლამის ყოველდღიურად ქცეულ შეხვედრებზე ქვეყნის უმაღლეს-უგრძეს პირსა და მოყვანილ-ჩამოყვანილ ხალხს შორის, მართალი გითხრათ, ადრე არ შემიმჩნევია: მოზიმზიმეთა თავზე, სიღრმეში ირხეოდა დიდრონასოებიანი წარწერა: „მიშა, გვიყვარხარ!“**

ისე ჩანს (მართლაც რომ, ჩანს!ძ, წინასაარჩევნოდ ძლიერდება ნაცაგიტაციური მუშაობა და ზემოდან წამოვიდა პრეზიდენტისათვის სიყვარულის ახსნა-გამოცხადების ინსტრუქცია... დიახ, მიშა, გვიყვარხარო! ეგეც თქვენ, ზოგიერთო ოპოზიციონერო, საპაშვილმა ხალხს თავი შეაზიზღაო, რომ ირწმუნებით...

კარგი, მაგრამ კაცს თუ ცუღლუტური აზრებისადმი ერთგვარი მიდრეკილება გაქვს – მაშინ? მაშინ ისა, რომ ჩნდება ფიქრი – იმ პლაკატზე მეორე სიტყვაში მეორე „ვ“ რომ „გამოვტოვოთ“, აი ასე „გვიყ(ვ)არხარ“, რა გამოვა? რა და, გვიყარხარ“. პირველ სიტყვასთან შეწყვილებით კი – „მიშა, გვიყარხარ“. სიმართლეს რა უფრო შეეფერება – „გვიყვარხარ“ თუ „გვიყარხარ“, ეს კიდევ საკითხავია...

ისე, ცუღლუტურაზრებიანი იგი კაცი ცოტა კორექტურულობასაც თუ მოუხმობს, უნდა აღიაროს, რომ აქ პოლიტიკური სიმყრალე, პოლიტიკური გვანოზა იგულისხმება; თორემ „ბიოლოგიური“ მიშა რომ კეთილსურნელოვანი იქნება და ალბათ, ახლოდან სასიამოვნო არომატსაც აფრქვევს, ამას უთუოდ არაერთი ქალი (იმათ რიცხვში, მინისტრი ქალიცძ დაამოწმებს...

გამოდის, რომ მანძილი სიყვარულიდან სიმყრალემდე (ისევ ბოდიშძ ერთასოიანი ყოფილა, საკმაოდ მოკლე.

**ბერდია ბედოიძე**

## შეუცნობელი

# ვინ გვითვალთვალებს კოსმოსიდან?

**ზუსტად 65 წლის წინათ, 1947 წლის ზაფხულში, ქალაქ როზუელის მახლობლად ფერმერმა მაკ ბრეიზელმა გამაყრუებელი გრუხუნი გაიგონა და ცაში რაღაც ნათება დაინახა. შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ ამ პატარა პროვინციული ქალაქის მახლობლად უცხოპლანეტელთა მფრინავი თეფშის მსგავსი რამ ჩამოვარდა.**

— ავარიის ადგილზე მისულმა მისტერ ბრეიზელმა „თეფშის“ გვერდით რაღაც არსებათა ცხედრები ნახა, — ამბობს ასოციაცია „შეუცნობელი ეკოლოგიის“ პრეზიდენტი ალექსანდრე სემიონოვი. — შემდეგ საქმეში შერიფი და ახლო მდებარე საავიაციო ბაზის სამხედროები ჩაერთნენ.

საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა დაიწყო, მაგრამ მალე ხელისუფლებამ განაცხადა, რომ როზუელთან არა უცხოპლანეტელთა ხომალდი, არამედ საიდუმლო პროექტ „მოგულთან“ დაკავშირებული მეტეოზონდი დაიმსხვრა.

ეს ამბავი დიდი ხნის მანძილზე ერთგვარად მივიწყებული იყო, მერე კი, 70-იან წლებში, კვლავ ამოტივტივდა, როცა გაეროს უშიშროების კომიტეტის სხდომაზე სახელმწიფო გრენადამ მემორანდუმი „იკუფონი“ წარადგინა, რომელშიც **ლაპარაკი იყო იმ საფრთხეზე, რომელსაც უცხოპლანეტელები კაცობრიობისთვის წარმოადგენენ. საგულისხმოა, რომ მემორანდუმი გამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ დოკუმენტურად დასაბუთებული ინფორმაციის სოლიდურ კრებულს წარმოადგენდა.**

ერთ-ერთი გადამდგარი ამერიკელი სამხედროს, პოლკოვნიკ დიკ კორსუს წიგნში, რომელიც თითქოსდა როზუელის ინციდენტის გამოძიებაში მონაწილეობდა, რაც საგანგებოდ აღწერა კიდეც, **თანამედროვეობის მრავალი მიგნება — ჩიპები, ოპტიკური ბოჭკო, ლაზერული მოწყობილობები და ა.შ., როზუელს უკავშირდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩამოვარდნილმა ხომალდმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელში ძალიან დიდი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი ჩაუგდო.**

**ორი თვის შემდეგ პოლკოვნიკი კორსუ იდუმალ ვითარებაში დაიღუპა, მალე კი საერთაშორისო უფოლოგიის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: ანომალური პრობლემატიკის საკითხების შესწავლის მთელი ფინანსირება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა პენტაგონსა და დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოში (დცს) გადაიტანა.**

ამერიკელები მრავალი წლის მანძილზე სწავლობდნენ უფოლოგიურ, პარაფსიქოლოგიურ და სხვა მსგავს პრობლემებს, მაგრამ მათ დცს-ში გადატანის შემდეგ, პრესაში მასალების გაჟონვა მინიმუმამდე შეამცირეს. **სამაგიეროდ, მრავლად გაჩნდა ისეთი პროექტები, რომლებიც აშკარად მიეკუთვნება საინფორმაციო-ანალიტიკურ ომთა წარმოების მეთოდებს. ასეთია, მაგალითად, ტელესერიალი „საიდუმლო მასალები“, სადაც პოპულარულადაა მოთხრობილი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უცხოპლანეტურ საიდუმლოთა მთავარი მფლობელია.**



შემდეგ მოულოდნელად საიდუმლოების გრიფი მოხსნეს დოკუმენტურ ფილმს როზუელის უცხოპლანეტელის გვამის გაკვეთის შესახებ. ბევრმა მეცნიერმა განაცხადა, რომ ესაა ყალბი ფილმი. ამ თემაზე დანამდვილებით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ ბევრმა მკვლევარმა ყურადღება მიაქცია, რომ ტელეფონის ყურმილს სპირალურ-ზამბარული მავთული აქვს მიერთებული, რომლის მსგავსი 1947 წელს ნამდვილად არ იყო!

მკვლევარებში გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ამერიკელებმა რატომღაც როზუელის ინციდენტი „გაბერეს“, თუმცა, ბევრის აზრით, გაცილებით უფრო საინტერესო რამ ამერიკის ჩრდილოეთით მოხდა. **იქ სამხედროები „თეფშთან“ ოთხ უცხოპლანეტელს გადაეყარნენ. თვითმხილველები ირწმუნებიან: ჰუმანოიდებიც და მათი ხომალდიც ერთიან ენერგეტიკულ მთლიანობას წარმოადგენდნენ. ჩანდა, რომ ხომალდი ძლიერ დაზიანდა. არსებები მას რომ მოშორდნენ, როგორც ეტყობა, რაღაც კავშირი დაკარგეს და დაიხოცნენ. მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით, ეს ძალიან საინტერესო გარემოებაა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცივილიზაციის არსებობის სხვა პრინციპთან, როცა „დედასა“ და „შვილებს“ შორის ერთგვარი ენერგეტიკული ურთიერთქმედებაა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ამბავი მარტო საუწყებო გამოძიებათა დონეზეა ცნობილი.**

იმავე ამერიკელთა მონაცემებით, 70-იან წლებში, როცა უცნობი მფრინავი ობიექტები სამხედრო-საჰაერო ძალების ინტერესთა სფეროს წარმოადგენდა, **ქვეყნის ტერიტორიაზე დაახლოებით 30 ჩამოვარდნილი მფრინავი დისკო ნახეს, რომლებშიც 12 გარდაცვლილი ჰუმანოიდი იყო. მათ შორის ერთ-ერთ უცხოპლანეტელს ჯერ კიდევ ცოცხალს მოუსწრეს და მასთან კონტაქტშიც შევიდნენ!**

ალექსანდრ სემიონოვის თქმით, ყველა ეს ამბავი ანალიტიკური ზემოქმედებისა და საერთაშორისო სიცრუის მეთოდებს წარმოადგენს, რომლებიც სხვა მიზნების მისაღწევად გამოიყენება. საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება კი ჩუმად არის. ამ მხრივ საგულისხმოა სწორედ როზუელის მაგალითი. საქმე ისაა, რომ **პირველებმა ბირთვული იარაღი ამერიკელებმა გამოსცადეს, რაც ნებისმიერი გარეშე დამკვირვებლისთვის ადვილი შესამჩნევი იყო — დიდი ოდენობით ენერგიის გამოფრქვევა, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.** ამიტომაც იყო, რომ უზენაესი კოსმიური ძალების ყურადღება სწორედ ამერიკაზე იყო მიმართული.

ასოციაციის პრეზიდენტის აზრით, **გამოუცნობი მფრინავი ობიექტები კაცობრიობას „მწყემსავენ“,** რის შესახებ უამრავი მასალა სახელოვან მფრინავ ქალს მარინა პოპოვიჩს აქვს შეგროვილი.

— თუ რა ფენომენია ეს, ჩვენ დღემდე არ ვიცით, მაგრამ ის, რომ საერთაშორისო უსაფრთხოებაზე მას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ცხადია, — ამბობს ალექსანდრე სმირნოვი. — თუმცა, გამოუცნობი მფრინავი ობიექტები და გლობალური უშიშროების საკითხები — ეს ცალკე საუბრის თემაა.

ამ თემას მომავალში აუცილებლად დავუბრუნდებით.

**ნინო ალექსანდრია**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### „რატომ დაიდგა ლაფანყურში სპექტაკლი“

„ლაფანყურის ბრძოლა — ხელისუფლების შესაძლო მოტივები“ — ამ სათაურით ავრცელებს სტატიას ევრაზიის ინსტიტუტი, სადაც პუნქტობრივად არის დასახელებული ის მიზეზები, რამაც უკვე ცნობილი მოვლენები გამოიწვია. უკვე საბოლოოდ გახდა ცხადი, რომ არავითარი მძევლები ეგრეთ წოდებულ წვერებიან მოჯაჰედებს საქართველოში არ აუყვანიათ. მაქსიმუმი, რაც მოხდა — საქართველოს რამდენიმე ახალგაზრდა მოქალაქეს, რომლებმაც შემთხვევით დაინახეს უცხო შეიარაღებული პირები, ამ უკანასკნელთ სთხოვეს, თან გაჰყოლოდნენ, რათა საქართველოს ტერიტორიაზე მათი ყოფნა ცნობილი არ გამხდარიყო.

**„ახალი თაობა“**

### დაბადება საქართველოში — ყოველგვარი სახელმწიფო დახმარების გარეშე

საქართველო სამეზობლოში ერთადერთი ქვეყანაა, ბავშვის დაბადებისას ოჯახი სახელმწიფოსგან არც ერთჯერად დახმარებას იღებს და მით უფრო, არც ყოველთვიურ შემწეობას. მეზობელ ქვეყნებსა და, მათ შორის, მეგობარ უკრაინაში ეს საკითხი უკვე კარგა ხანია, გადაწყვეტილია. სომხეთში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში დახმარება ყველა ოჯახს ეკუთვნის, სადაც ბავშვი იბადება, მნიშვნელობა არა აქვს ის ამ ოჯახის პირველი შვილია, მეორე თუ მესამე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ოჯახებს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთშიც ეხმარებიან.

**„რეზონანსი“**

### ბიძინა ივანიშვილის ძმას დააკავებენ?!

ბიძინა ივანიშვილის ძმა, კომპანია „ატუს“ მფლობელი ადიკო ივანიშვილი შესაძლებელია პროკურატურაში დაიბარონ. „რეალტივის“ ინფორმაციით, საქმე ეხება ისეთ დანაშაულს, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. დაკავებულია კომპანია „ატუს“ რამდენიმე თანამშრომელი. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, მშენებლობაზე ორი ამწე ერთმანეთს დაეჯახა, რის შედეგადაც მუშა ხარაჩოდან გადმოვარდა.

**„ალია“**

### რექტორის არჩევნები თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში

**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით გამოაცხადა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის არჩევნები. კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდება 2012 წლის 12 და 13 სექტემბერს, ხოლო რექტორის არჩევნები ჩატარდება 2012 წლის 14 სექტემბერს.**

## ჟადრაკის ენაზე

**პრეზიდენტად ყოფნა უჩანს ქიშმიშად,
როგორც იქნა, უთხრეს, მგონი: ქიშ, მიშა!
იმედია, ქიშს მოჰყვება შამათიც,
მანამდე კი, ხალხნო, ცოტა გამაგრდით!...**

რამაზ ილმელი

## ანეკდოტები

**ბაზრობაზე:**

**— ეს ბოტასები რომელ ქვეყანაშია წარმოებული?**

**— გერმანიაში.**

**— შიგნით, რომ ჩინეთი აწერია?**

**— ნორმალური ხალხისთვის გერმანიაშია წარმოებული, ინტრიგანებისთვის — ჩინეთში.**

* * *

**მეგრელი ტელევიზორში მოისმენს, სპილო გაქცეულა ზოოპარკიდანო:**

**— ხოხ! რას დაიჭერენ ეგენი მაგხელა სპილოს!**

**მეორე დღეს მოისმინა, დაუჭერიათო:**

**— ხოხ! აბა სად გაიქცეოდა მაგხელა სპილო!**

* * *

**ერთი მონადირე მივა მეორესთან სტუმრად და ხედავს, დათვის ტყავს კედელზე.**

**— შენ მოკალი?**

**— ხო.**

**— რამდენი ტყვია ესროლე?**

**— ხუთი.**

**— რამდენი მოარტყი?**

**— ვერც ერთი.**



**— მაშ როგორ მოკალი?**

**— სიცილით მოკვდა.**

* * *

**— ჩვენთან მთელი სოფელი სოკოთი მოიწამლა.**

**— როგორ, ყველა ერთად?**

**— არა, ჯერ ერთი, დანარჩენები კი იმის ქელეხში.**

* * *

**სვანი მივიდა ბანკში. გამოიტანა მთელი თავისი დანაზოგი. ხუთი წუთის მერე უკანვე შეიტანა. ოპერატორი დაინტერესდა:**

**— უკაცრავად, მაგრამ, რაში გჭირდებოდათ ფული ხუთი წუთით?**

**— არაფერში, უბრალოდ გადავთვალე.**

* * *

**საგადასახადოში:**

**— თქვენ დაგვიმალეთ გადასახადი!**

**— არ დამიმალავს. უბრალოდ, გრაფაში „შემოსავალი“ ყველა ნული არ ჩაეტია.**

* * *

**— როგორ უნდა მივიყვანო ქალი გაგიჟებამდე?**

**— უნდა მისცე ბევრი ფული და ყველა მაღაზია დაუკეტო.**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24